საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი-პარასკევი, 3-4 სექტემბერი. 2020 წ. №109 (9035) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„ვეშაპებს“, ანუ დიდ სახელმწიფოებს აქვთ მხოლოდ მუდმივი ინტერესები!



4

„ბუტიაობა“, როგორც პოლიტიკური კლასიკა

ომარ მარგველაშვილი:

ლია წერილი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს, ბატონ შალვა კერესელიძეს

5

ნურც თქვენ დაგვამადლით ყურადღებას და არც ჩვენ დაგამადლით ხმებს!..

ყურადსაღებ და ყურმოკრულ ისტორიკოსებზე...

8

ვუყვარხარ, ძმაო!

სიკეთე, ნდობა, განვითარება, მშვიდობა...

ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“ (ამსკ)

მისია:

– კონფლიქტების ტრანსფორმაცია, მშვიდობის მშენებლობა;

– დასაქმების ხელშეწყობა, უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირება.

იხ. 6 გვ.

„კორონა“ აბოროქრდა!

ჩაქვში, სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისში“, სადაც ერთ-ერთ ვიზიტორს კორონავირუსი დაუდასტურდა, ზომები გამკაცრდა. შენობასთან პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი იმყოფება, თავად სასტუმროში კი ეპიდემიოლოგებმა დაიწყეს მუშაობა. ამ დროისთვის ცნობილია, რომ სასტუმროში მყოფ ყველა ადამიანს PCR-ტესტირება ჩაუტარდება. რაც შეეხება თავად ინფიცირებულს, ცნობილია, რომ ის სამედიცინო კონფერენციის მონაწილეა და მაღალი ტემპერატურა გუშინ გამოვლინდა. მასთან უშუალო კონტაქტში მყოფი 5 პირი თვითიზოლაციაშია. ამ დროისთვის სასტუმროში 900-მდე ადამიანი იმყოფება. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩაქვში, სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისში“ კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს კორონავირუსი დაუდასტურდა, გუშინ გახდა ცნობილი.

* * *

თბილისში, სასურსათო მაღაზია „ნიკორას“ ერთ-ერთ ფილიალში ორ თანამშრომელს კორონავირუსი დაუდასტურდა. ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ „ტვ პირველთან“ საუბრისას განაცხადა.



მისი განმარტებით, მაღაზიაში საჭირო ზომები უკვე მიიღეს.

„დღევანდელი დადასტურებული შემთხვევებიდან 2 არის სწორედ სასურსათო მაღაზიის თანამშრომელი. არანაირი პრობლემა არ არის, დავასახელებ მაღაზიას. ეს არის საკმაოდ ქსელური მაღაზია. მათ გაატარეს უკვე საჭირო ზომები, შეცვალეს პერსონალი, გადაიყვანეს თვითიზოლაციაში და მიმდინარეობს მათი კვლევები. ეს არის „ნიკორა“. სამედიცინო უნივერსიტეტის მოპირდაპირე მხარეს“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

* * *

მინდა მოვუწოდო მოქალაქეებს, ვინც ბრუნდება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე, იქნება ეს თბილისი თუ სხვა, მიმართონ თვითიზოლაციას და ნებისმიერი სიმპტომის გაჩენის შემთხვევაში დარეკონ ცხელ ხაზზე 112-ში, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.

მინისტრი მოსახლეობას მოუწოდებს, დაიცვან სოციალური დისტანცია და ატარონ პირბადე. **„დღეს აღირიცხა 38 შემთხვევა, აქედან 22 შემთხვევა გამოვლინდა ბათუმში, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი. მინდა ვთხოვო ჩვენს მოსახლეობას, რომ ისეთივე პასუხისმგებლობით, ისეთივე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, რომელიც მათ გამოიჩინეს მთელი წლის მანძილზე, დავიცვათ სოციალური დისტანცია, ვატაროთ ნიღაბი და აუცილებლად, ბათუმის და აჭარის ტერიტორიაზე მყოფი ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც დღეს თავიანთ შვებულებას იქ ატარებენ და ისვენებენ, მიმართონ იმ წერტილებს, სადაც გვაქვს გაშლილი კარვები და ამბულატორიები, სადაც არის საშუალება ტესტირების ჩატარების, რომ შევძლოთ დავეხმაროთ ეპიდემიოლოგებს და ვმართოთ ვირუსის ჯაჭვი... მინდა, ასევე მოვუწოდო მოქალაქეებს, ვინც ბრუნდება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე, იქნება ეს თბილისი თუ სხვა, მიმართონ თვითიზოლაციას და ნებისმიერი სიმპტომის გაჩენის შემთხვევაში დარეკონ ცხელ ხაზზე 112-ში, სადაც ისინი გადამისამართდებიან იმ ოჯახის ექიმებთან და იმ ამბულატორიებში, რომლებიც მართავენ „კოვიდ“ სიტუაციას საქართველოში.**

გიორგი გახარია: პანდემიის პროცესი მინიმალური რისკებით უნდა ვმართოთ

დღეს გვყავს 38 ინფიცირებული, ალბათ, რეკორდული მაჩვენებელი. აქედან, 22 არის ბათუმის, ერთი დაწესებულებიდან. რეალურად, ისე მიდის, როგორც ვპროგნოზირებდით და ვამბობდით — მობილობის ზრდასთან ერთად, ინფიცირებულების რაოდენობა იზრდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ დღეს მთავარი ამოცანა ამ პროცესის მინიმალური რისკებით მართვაა.

ამასთან, გიორგი გახარიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიტუაცია ეპიდემიასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, დანარჩენ საქართველოსთან შედარებით მძიმდება, სპეციალური საკარანტინო ზომები ბათუმში არ ცხადდება და ჩაკეტვაზე საუბარი არ არის.

„მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიტუაცია ეპიდემიასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს დანარჩენ საქართველოსთან შედარებით მძიმდება, რა თქმა უნდა, ჩვენ სპეციალურ საკარანტინო ზომებს ბათუმში არ ვაცხადებთ და ბათუმის ჩაკეტვაზე საუბარი არ არის, — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, დღეს ბათუმში კონცენტრირებულია საკმაოდ მაღალი რაოდენობა მოქალაქეების, რომლებიც ისვენებენ და აქ ყურადღებაა გასამახვილებელი, გასაძლიერებელია ტესტირება ბულვარში და სხვადასხვა წერტილებში. ამასთან, როგორც მთავრობის მეთაურმა უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, მესტია-ლენჯერში დღეიდან ყველანაირი შეზღუდვები უქმდება.

„მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიტუაცია შედარებით დამძიმდა, მესტია-ლენჯერის რაიონში ჩვენ მოსალოდნელ ეპიდემიურ აფეთქებას გავართვით თავი და მართვა შევძელით ეფექტურად, ამიტომ აქ რა, თქმა უნდა, დღეიდან ყველანაირი შეზღუდვები უქმდება, იმიტომ, რომ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას გვაძლევს. ყველამ უნდა ვიზრუნოთ ახლა იმაზე, რომ ბათუმში, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დამძიმება არ გადაეცეს სხვა ქალაქებს, სადაც დამსვენებლები დაიწყებენ დაბრუნებას“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

აგრეთვე, მთავრობის მეთაურის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით, ინფიცირების 38 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, რა თქმა უნდა, არანაირი საუბარი სასკოლო პროცესის გადადებაზე არ არის.

მისივე განცხადებით, საგანმანათლებლო პროცესი სკოლებში უნდა დაიწყოს 15 სექტემბერს და ამისთვის სრულად უნდა იყვნენ მობილიზებული განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები. პრემიერ-მინისტრმა შესაბამის სამსახურებს, უსაფრთხოების ზომების გამკაცრებისკენ მოუწოდა.

„ქალაქის მერიას მინდა, მოვუწოდო, ნორმები, რომელიც დაწესებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სავაჭრო ობიექტებზე, აქაც უნდა გავამკაცროთ მიდგომები, იმიტომ, რომ სექტემბერია, ქალაქში ბრუნდებიან დამსვენებლები, იწყებენ ყოველდღიურ ცხოვრებას, შრომას და აქ ყველა უნდა მივეჩვიოთ, რომ სამწუხაროდ, რაღაც პერიოდი მსგავსი შეზღუდვებით და დისკომფორტით ცხოვრება მოგვიწევს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ. პრემიერმა, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დღეის მდგომარეობით, 18 წლამდე ბავშვების 200-ლარიან სოციალურ დახმარებაზე 857 000 განაცხადია შემოსული და ამ განცხადებების დაკმაყოფილება დღეიდან დაიწყო.

მისივე თქმით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ფინანსთა სამინისტროებს ევალებათ, 1 კვირაში სრულად დასრულდეს მოქალაქეების ანგარიშებზე სოციალური განაცემების გადარიცხვა. ამასთან, მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რეგისტრაცია გაგრძელდება 1 დეკემბრამდე და ახალი განცხადებებიც ეტაპობრივად, უახლოეს პერიოდში დაკმაყოფილდება.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

მინისტრის გაცნობითი ვიზიტი საოკუპაციო ხაზთან

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში საოკუპაციო ხაზთან იმყოფებოდა. სახელმწიფო მინისტრმა გამყოფი ხაზის სოფლებში ატოცში, დვანში, ნიქოზსა და ერგნეთში საოკუპაციო ხაზი მოინახულა, ადგილზე არსებულ ვითარებას გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

თეა ახვლედიანმა ადგილობრივებისგან მათი საჭიროებების შესახებ მოისმინა და შეკრებილებთან ოკუპაციის ფონზე არსებულ გამოწვევებზე, საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკაზე, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამებისა და აქტივობების შესახებ იმსჯელა.

სახელმწიფო მინისტრი ნიქოზის საგანმანათლებლო ცენტრის-ხელოვნების სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს გაეცნო, რომელიც ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტის, მეუფე ისაიას ინიციატივით უკვე რვა წელია, ფუნქციონირებს, შემდეგ მინისტრი სოფელ ნიქოზის ამბულატორიას ეწვია და სამედიცინო პერსონალს შეხვდა. თეა ახვლედიანი ადგილობრივი მეწარმე-ფერმერის მიერ გაშენებულ ნუშისა და კაკლის ბაღებშიც იმყოფებოდა, რომელიც საოკუპაციო ხაზთან არის განლაგებული. სახელმწიფო მინისტრი ერგნეთის ოკუპაციის მუზეუმსაც ესტუმრა და ადგილობრივებსა და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

„სამწუხაროა, რომ დღეს კიდევ ერთხელ დაფიქსირდა უკანონო ბორდერიზაციის ფაქტი სოფელ ყარაფილასთან, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს და მეტყველებს საოკუპაციო რეჟიმის დესტრუქციულ და პროვოკაციულ ქმედებებზე. ამ თვალსაზრისით, ამოქმედებულია ცხელი ხაზი და ჩვენ განვაგრძობთ საერთაშორისო პარტნიორებთან მუშაობას, მხარდაჭერის კონსოლიდაციის და ამგვარი ქმედებების აღკვეთის მიზნით“, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. გენერალური პროკურორი თანამდებობას ტოვებს

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. გენერალურმა პროკურორმა ურუზმაგ ჯაგაევმა თანამდებობის დატოვების პირობა წამოაყენა. ის მზადაა, პოსტი დატოვოს, თუკი თვითგამოცხადებული პარლამენტის ცალკეული დეპუტატები, რომლებზეც პროკურატურას გარკვეული მასალები აქვს, მანდატებს და დეპუტატის ხელშეუხებლობას დათმობენ.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. ოპოზიციონერმა დეპუტატებმა დე ფაქტო პარლამენტში მუშაობის შეჩერების შესახებ განაცხადეს. ისინი ამბობენ, რომ მუშაობას მანამდე არ გააგრძელებენ, სანამ ე.წ. გენერალური პროკურორი და ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი პასუხისგებაში არ მიეცემიან.

ე.წ. გენერალური პროკურორის და მასთან ერთად ანატოლი ბიბილოვის გადადგომას ცხინვალის მოსახლეობა უკვე რამდენიმე დღეა ითხოვს. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალში აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც ოკუპირებული რეგიონის მცხოვრები ინალ ჯაბიევი, დაკავების შემდეგ იზოლატორში გარდაიცვალა. ვარაუდობენ, რომ ის წამების შედეგად გარდაიცვალა. საპროტესტო აქციებს ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. მთავრობის გადაყენება უკვე მოჰყვა.

ჰუბერტ ქნირში: ბერლინის კედლის დაცემიდან 30 წლის შემდეგ კიდევ რომ გვესმის ბორდერიზაციის შესახებ, ეს ძალიან არაადამიანური პროცესია!

— ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა განაცხადა. მისი თქმით, ბერლინში ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს ყურადღებით აკვირდებიან.

„ჩვენ ვაკვირდებით ამ მოვლენებს, რაც გამყოფ ხაზთან ხდება. ის, რაც ცხინვალის რეგიონის ე.წ. ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება საკმაოდ მახინჯი და არასწორი პროცესია. ვხედავთ ადამიანების უფლებების დარღვევებისა და მათი მძიმე მდგომარეობის ფაქტებს. ვაფიქსირებთ, რომ ეს შეინიშნება ცხინვალში და ვაგრძელებთ დაკვირვებას ამ პროცესში“, — განაცხადა მან.

1 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაფილას მიმდებარე ტერიტორიაზე, საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო ე.წ. ბორდერიზაცია ხორციელდება.

სატელევიზიო ანძის რეაბილიტაცია 15 მილიონი ლარი დაჯდება

დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, დედაქალაქის მერია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, თბილისის ანძაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ინტერესთა გამოხატვას აცხადებს. პროექტის თანახმად, დაახლოებით, 70 მეტრის სიმაღლეზე განთავსდება გადმოსახედი, საიდანაც პანორამული ხედები გადაიშლება. ასევე, განთავსდება კვების ობიექტები.

„როგორც გახსოვთ, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, თბილისის სატელევიზიო ანძის რეაბილიტაციაზე ვსაუბრობდი. ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, აღნიშნულ საკითხზე ბევრი ვიმუშავეთ. გამოცხადებული გვქონდა ტენდერი, რომ შეგვემუშავებინა კონცეფცია, თუ რისი გაკეთება არის შესაძლებელი სატელევიზიო ანძაზე, მისი განვითარება-რეაბილიტაციისთვის. ტენდერში გაიმარჯვა ესტონურმა კომპანია „კოკომ“, რომელსაც მსგავს ობიექტებზე მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენ უკვე გეგმარება ჩავიბარეთ. საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველი ობიექტი გამოდის. დაახლოებით, 70 მეტრის სიმაღლეზე განთავსდება გადმოსახედი, საიდანაც პანორამული ხედები გადაიშლება, ასევე, კვების ობიექტები. ვფიქრობ, რომ თბილისისთვის ჩვენი სატელევიზიო ანძის სწორად გამოყენება, ფუნქციის მინიჭება, დამატებითი მიზიდულობის ცენტრი იქნება. როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე, ჩამოსულ ტურისტებს ექნებათ შესაძლებლობა, ამ ადგილით ისარგებლონ. გვინდა, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ინტერესთა გამოხატვა გამოვაცხადოთ, რომ ბიზნესსექტორი დავაინტერესოთ. დაახლოებითი გათვლები გვაქვს და პროექტის განხორციელებას 10-დან 15 მილიონ ლარამდე დასჭირდება“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძის განცხადებით, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტმა საარჩევნო პლაკატების განთავსების ადგილები შეიმუშავა, რომელიც დასამტკიცებლად დედაქალაქის საკრებულოს უკვე გადაეგზავნა.

„როგორც მოგეხსენებათ, საპარლამენტო არჩევნები მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს ჩატარდება. საარჩევნო კამპანია იწყება. ამიტომ, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტმა საარჩევნო პლაკატების განთავსების ადგილები შეიმუშავა, რომელიც დასამტკიცებლად დედაქალაქის საკრებულოს უკვე გადაეგზავნა. დამტკიცების შემდეგ, აღნიშნული ნუსხა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაეგზავნება. დოკუმენტში მოცემულია ადგილები, თუ სად შეიძლება პოლიტიკურმა პარტიებმა საარჩევნო პლაკატები განათავსონ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდა, რომ საარჩევნო პლაკატები მხოლოდ მისთვის განსაზღვრულ ადგილებში განათავსონ.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ „საარჩევნო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია“ დამტკიცდა, რომელიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ ყველა დაწესებულებას და საჯარო მოხელეს გადაეგზავნება. დედაქალაქის მერმა მოადგილეებს, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებსა და რაიონების გამგებლებს დაავალა, აღნიშნული დოკუმენტი ყველა თანამშრომელს გააცნონ.

„გამოვეცი ბრძანება „საარჩევნო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციასთან“ დაკავშირებით. განვსაზღვრეთ საჯარო მოხელეთა ქცევის წესები, რომელსაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ ყველა დაწესებულებას და საჯარო მოხელეს გადავუგზავნით. ჩვენ საარჩევნო კანონმდებლობით ამის ვალდებულება გვაქვს, რომელსაც ვასრულებთ. გამოვცემთ წესებს იმისთვის, რომ არ დავარღვიოთ კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქცია. მინდა, დავავალო ჩემს მოადგილეებს, მთავრობის წევრებს, გამგებლებს, სამსახურის ხელმძღვანელებს, ეს ყველაფერი მაქსიმალურად ჩაიშალოს ჩვენს თანამშრომლებში, რათა შემდეგ არ მოყვეს გარკვეული მანიპულაციები, როგორც ეს ხდება. მიმდინარეობს მიზანმიმართული არასწორი ინფორმაციის გავრცელება. შეიძლება, ბევრმა არც კი იცოდეს, რისი უფლება გვაქვს და რისი არა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი ქვედა დონეზე ჩაიშალოს და ჩვენმა თითოეულმა თანამშრომელმა იცოდეს, რისი უფლება აქვს და რისი არა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა გუშინვე შესაბამის სამსახურებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში უსაფრთხოების ზომების გამკაცრებისკენ მოუწოდა. მისი განცხადებით, ყველა რეკომენდაციის შესრულება მკაცრად უნდა გაკონტროლდეს.

„მინდა, შესაბამის სამსახურებს დავავალო, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც, მგზავრობა მხოლოდ და მხოლოდ პირბადით არის ნებადართული, გაკონტროლდეს. მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ საზოგადოებას, იმ ადამიანებს, ვინც ყოველდღიურად საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს, რათა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ერთმანეთის ჯანმრთელობას და სიცოცხლის უსაფრთხოებას“...

დედაქალაქის მერმა მერიის სამსახურების ხელმძღვანელებს მოუწოდა, თანამშრომლების მუშაობის დისტანციური რეჟიმი მაქსიმალურად შეინარჩუნონ.

„სამწუხაროდ, 38 ახალი ინფიცირებული გვყავს ქვეყანაში. ამიტომ, ჩემი თხოვნა იქნება, რომ ადამიანები, ვინც შეგიძლიათ, რომ სახლიდან დისტანციურად ამუშაოთ, აღნიშნულ რეჟიმში დატოვოთ. ასევე, გავითვალისწინოთ, რომ მერიის შენობაში და ყველა დაწესებულებაში პირბადეებით გადაადგილება აუცილებელია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში ჭავჭავაძის გამზირზე ძველი, მიწისზედა ნარჩენების ურნები მოიხსნება და მოსახლეობა ახალი, მიწისქვეშა ურნებით სარგებლობას შეძლებს.

დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე ისიც აღნიშნა, რომ კრწანისის რაიონში საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან ჯაფარიძე იქნება, რომელმაც კრწანისის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. დედაქალაქის მერმა ლევან ჯაფარიძეს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

მარიამ ქვრივიშვილი: ბათუმში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა კონტროლირებადია და დამატებითი საკარანტინო შეზღუდვების შემოღება არ იგეგმება

მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარიამ ქვრივიშვილმა განაცხადა, რომ დამატებითი საკარანტინო შეზღუდვების შემოღება არ იგეგმება, ხოლო იმ ობიექტებზე, სადაც მოქალაქეების მაღალი კონცენტრირება ხდება, თანამშრომლების სწრაფი ტესტირება და სივრცეების ხშირი დეზინფექცია ჩატარდება.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო გასართობი ობიექტები, ღია სახის ღონისძიებები, მათ შორის ღია სივრცეში არსებული კლუბები და ა.შ.

„დასვენებისთვის და ბიზნესის ხელშეწყობისთვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ბიზნესმა ორი რამ გააკეთოს მაქსიმალურად: პირველი — თანამშრომლების სისტემატური ტესტირება, რომ არ მოხდეს ვირუსის გავრცელება და მეორე — სივრცეების ხშირი დეზინფიცირება. ერთობლივი მუშაობით ჩვენ მწვანე ქვეყნის სტატუსს შევინარჩუნებთ, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ. ეს სტატუსი გვეხმარება, რომ ტურიზმის გახსნის პროცესი ძალიან ეფექტური და სწრაფი იყოს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ტურიზმის განვითარებისა და საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციონირებისთვის“, — განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

სკოლებისთვის აუცილებელი ეპიდსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდა

სახელმწიფომ სკოლებისთვის აუცილებელი ეპიდსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შესყიდვა დაასრულა, — ამის შესახებ ეკატერინე დგებუაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხდა. განათლების მინისტრის მოადგილის თქმით, კონკრეტულ სკოლებში სასწავლო პროცესი მხოლოდ შემოწმების გავლის შემდეგ აღდგება.

„10 სექტემბრისთვის ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იქნება პირბადეებით,დეზობარიერით, შესაბამისი სითხეებით, ასევე თერმოსკრინინგის აპარატებით და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სასწავლო წელი არ დაიწყება ისე, რომ 15 სექტემბრამდე ჯანდაცვის სამინისტროში არსებული ინსპექტირების სამსახური არ შეამოწმებს როგორც ყველა საჯარო, ასევე კერძო სკოლას. მხოლოდ ამ დასკვნის შემდეგ მოხდება სასწავლო პროცესის კონკრეტულ სკოლაში დაწყება“, — აღნიშნა დგებუაძემ. საქართველოში სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განახლდება.

მესტიასა და ლენჯერში საკარანტინო შეზღუდვები მოიხსნა

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაბა მესტიასა და ლენჯერში საკარანტინო შეზღუდვები გაუქმდა. შესაბამისად, პოლიციის მიერ მოწყობილი საკონტროლო გამშვები პუნქტები მოხსნილია და მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ერთეულში გადაადგილება შეუფერხებლად შეუძლიათ.

შსს-ს ინფორმაციით, პოლიცია სვანეთის რეგიონში საკარანტინო შეზღუდვებს 22 დღის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში აკონტროლებდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად ინტენსიურ რეჟიმში პატრულირებდნენ. ამასთანავე, პოლიციამ უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით უზრუნველყო სვანეთიდან მოქალაქეთა ესკორტირება სხვადასხვა რეგიონში მდებარე საკარანტინო სივრცეების მიმართულებით. რაც შეეხება ეპიდვითარებას, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე განმარტავს, მდგომარეობა სტაბილურია და კონტროლს სრულად ექვემდებარება.

საპროტესტო აქცია ბეჩოში

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოს მცხოვრებლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც აქციის მონაწილეებმა საქართველოს „პირველ არხს“ განუცხადეს, სოფელში, თითქმის ყველას აქვს საბანკო ვალდებულება. მათი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ტურისტული სეზონი ჩავარდა, ისინი სესხების გადახდას ვერ ახერხებენ.

სოფელ ბეჩოს მცხოვრებლები მთავრობას მიმართავენ თხოვნით, რომ ბანკებთან უშუამდგომლონ, რათა მათი სესხები გადავადდეს ან ტურისტული სეზონის აღდგენამდე შეჩერდეს. მათივე თქმით, უკვე ინფორმირებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი, რომელიც მთავრობას ადგილობრივი მოსახლეობის წერილებს გადასცემს.

„დონას“ თანამშრომლები კარანტინშია

ბათუმში მდებარე კაფე-საკონდიტრო „დონას“ თანამშრომლები პანდემიასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს ზედმიწევნით ასრულებდნენ. ამის შესახებ, საკონდიტრო „დონას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„კოვიდ-ინფექციის გამოჩენის პირველი დღეებიდან ზედმიწევნით ვასრულებდით ყველა იმ რჩევას და რეკომენდაციას, რაც ეხებოდა ვირუსის გავრცელების პრევენციას. თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენს ორივე ფილიალში დადასტურდა ვირუსით ინფიცირების შემთხვევები. ყველა დაინფიცირებული გადის მკურნალობას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო მათთან კონტაქტში მყოფი პირები გადაყვანილია კარანტინში. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოქალაქეებს ტესტის გაკეთება შეუძლიათ როგორც ბულვარის ტერიტორიაზე განთავსებულ კარვებში, ასევე სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში “, — ნათქვამია განცხადებაში. შეგახსენებთ, საქართველოში გამოვლენილი კორონავირუსის 38 ახალი შემთხვევიდან, 22 ბათუმში არსებულ საკონდიტრო მაღაზია „დონას“ უკავშირდება.

„ბუტიაობა“, როგორც პოლიტიკური კლასიკა

ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა წყენაშერეულად გასცა „საიდუმლო“: ლუკაშენკომ არ უპასუხა მერკელისა და მაკრონის ზარებს, ანუ, გააგზავნა ისინი... მის ჟარგონულ სტილში რომ ვთქვათ, სამ რუსულ „ასოზე“. და ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა... ადრეული სატელეფონო ზარების იგნორირების ფაქტები დაადასტურა თავად ქალბატონმა მერკელმა.

მდააა! „მწარედ“ მაქვს დაცდილი ასეთი რანგის პოლიტიკოსების და ურთულესი ვითარების დროს სატელეფონო ზარების იგნორირება. ანუ, „გაბუტვა“ (თუ მეტი არა), რასაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა „რეჟიმის დროს, არაერთგზის შევსწრებივარ“.

ლუკაშენკოს მხრიდან ევროლიდერების სატელეფონო ზარებისგან „ბავშვური დამალვა“ ვერ არის რიგიანი ქცევა, მით უმეტეს, უმაღლესი რანგის პოლიტიკოსის მხრიდან და, უწინარესად, პირადად მისთვის. ამ საქციელს, პირდაპირ მიესადაგება ძველი, „გამოქექილი“ ფრანგი დიპლომატის მორის ტალეირანის სრულიად სხვა შემთხვევის გამო ნათქვამი: ეს „დანაშაულზე“ მეტია, ეს არის... შეცდომა!

დარწმუნებით ვივარაუდებ: მეტისმეტად ძვირად დაუჯდება ეს შეგნებული შეცდომა 26-წლიანი პრეზიდენტობის სტაჟის მქონე „ბუტიას“.

ისტორია მსგავს ფაქტებს „იმახსოვრებს“. შედეგსაც!!! !

ღირს ახლა ერთი ფაქტის გახსენება, როცა, სამწუხაროდ, „კოლმეურნეობის თავმჯდომარემ„ კი არა, მსგავსი „შეცდომა“ თავიდან ვერ აიცილა, უფრო სწორად, არ (!!!) აიცილა ისეთმა გამოცდილმა „პოლიტიკურმა დინოზავრმა“, როგორიც ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. ვიმეორებ: კი ვერ აიცილა, არამედ არ (!!!) აიცილა.

...2003 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, საპარლამენტო არჩევნების შედეგად შექმნილი პოლიტიკური კრიზისის პიკისას, საქართველოს პრეზიდენტს ტელეფონზე 3-ჯერ დაურეკა ჯეიმს ბეიკერმა.

სამჯერ!!!

რა თქმა უნდა, აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ამჯერად არც საკუთარი ინიციატივით ეხმიანებოდა „მეგობარ ედუარდს“ და არც მისი ოჯახის მოსაკითხად, როგორც ამას ადრე აკეთებდა. იმ გაგანია არეულობის დროს, შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით მრავალათასიანი და პერმანენტული მიტინგები, აშშ-ს საელჩოში ოპოზიციის ლიდერთა ვიზიტების შედეგად მათი დაუფარავი აგრესია ხელისუფლებისადმი, არადიპლომატური ლექსიკა და გაამაყებულ-გათავხედებული ქცევა, რამაც ბეიკერის ადრეული საგანგებო ვიზიტის შემდგომ პიკს მიაღწია, „შევისთვის“ ავის მომასწავებელი გახლდათ. მით უმეტეს, ამ ვიზიტის ფარგლებში შევარდნაძესთან მისი კონფიდენციალური საუბრებისას, ამერიკელთა სურვილი – შეცვლილიყო „ვითარება“, საიდუმლოდ არ რჩებოდა. ბეიკერის სატელეფონო ზარის არაერთგზის დაჟინებული გამეორება იმის მინიშნება გახლდათ, რომ რეალური ვითარება რადიკალურ გადაწყვეტილებებს ითხოვდა.

ამერიკელებს არ აწყობდათ მოვლენების „უხეში“ ფინალი და უხერხული ვითარების „რბილად“ განმუხტვისთვის მსტოვრად შეარჩიეს „მეგობარი ჯეიმსი“.

შევარდნაძისთვის, რომელსაც ასეთ „პოლიტთამაშებში“ ბეიკერზე არანაკლები (თუ მეტი არა) გამოცდილება ჰქონდა, ცხადი გახდა ამ შემთხვევაშიც – საგანგებო სატელეფონო ზარის მიზანიც: ემცნოთ პრეზიდენტისთვის „თეთრი სახლის“ პოზიცია, მიეცათ მისთვის ხელშეუხებლობის გარანტიები (რაც შემდგომ განხორციელდა კიდეც) და იურიდიულად გაეფორმებინათ „ძვირფასი მეგობრისა და მრავალწლიანი საქმიანი პარტნიორისადმი“ მათი კეთილი განწყობისთვის წერტილის დასმა.

შევარდნაძემ „ფეხებზე დაიკიდა“ ეს მრავალჯერადი სატელეფონო ზარი, საკუთარი პოლიტიკური პერსპექტივაც და ამით აშკარად გამოხატა თავისი უკმაყოფილება არამცთუ „თეთრი სახლის“ ღალატისადმი (რაც მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო), არამედ ხაზი გადაუსვა მისი და ბეიკერის ლეგენდად ქცეულ ახლო ურთიერთობასაც და ამ ნაბიჯით... უკანდასახევი გზაც მოიჭრა. სამაგიეროდ, შეინარჩუნა ადამიანური და პოლიტიკური ღირსება.

ამ დრამატული პროცესისას ამერიკელების ქცევის დეტალები და შედეგები, ბელარუსის „ბატკამ“, ეტყობა, არ იცის. არც რუსეთისა... სამაგიეროდ ჩვენ გვახსოვს, მაგალითად: უნგრეთის პრემიერის იმრე ნადის ბედი... ავღანელი ნაჯიბულას კარიერისა და სიცოცხლის დასასრული... პოლონელი გენერლის იარუზელსკის უკიდეგანო ლანძღვა-გინება... აღმოსავლეთ გერმანიის ხელმძღვანელი ერიხ ხონეკერის დევნილობა სამხრეთ ამერიკაში და არაერთი სხვა ლიდერის ცხოვრების ფინალი. სხვათა შორის, მათი დრამის უშუალო მონაწილე გორბაჩოვთან ერთად თავად შევარდნაძე გახლდათ და სიცოცხლის ბოლოს იგი ამ მხრივ გადადგმულ ზოგიერთ ნაბიჯს სინანულით იხსენებდა.

ლუკაშენკოს, ეგებ, არც ის კადრები უნახავს, შევარდნაძის დაკრძალვისას გულწრფელად როგორ ატირდა ჯეიმს ბეიკერი. არც ის ეცოდინება, რასაც პირველად გავაჟღერებ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთათვის: **მოგვიანებით ვაშინგტონში ჩასული თედო ჯაფარიძე (ამერიკაში ჩვენი ყოფილ ელჩი და შევარდნაძისეული უშიშროების საბჭოს მდივანი) მან თავისთან საგანგებოდ მიიწვია და საუბრისას გულდაწყვეტით ჰკითხა: შევი ჩემზე, ალბათ, ნაწყენი წავიდაო ამ ძვეყნიდან. და როცა ჯაფარიძისგან დამადასტურებელი პასუხი მიიღო, თქვა: რა მეძნა, „თეთრ სახლში“ მიმიწვიეს და უშუალოდ პრეზიდენტმა მომცა დავალება, შევხმიანებოდი ედუარდს და... ამ დავალებას თავიდან ვერა და ვერ ავიცილებდიო...**

ამ ისტორიას პირდაპირ მიესადაგება უკვდავი ფრაზა (რაც არაერთგზის გამიხსენებია) და ახლაც გავიმეორებ: ყველა დიქტატორი (თუნდაც, ახლობელი-მოკავშირე „ძაღლისშვილი“), ავტორიტარი მმართველი, რომელიმე (თუნდაც, ჩვენნაირი) ქვეყნის ოდნავ დამოუკიდებლად „მოფართხალე“ მეთაურიც, რაგინდ საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე და დამსახურებულიც არ უნდა იყოს, ვალდებულია(!!!), განთავისუფლდეს პირადი მეგობრობის ყოვლისშემძლეობის ილუზიიდან და შეეგუოს იმ მაქსიმას (ერთ-ერთი ვერსიით, მგონი, ინგლისის ყოფილ პრემიერს დიზრაელს მიაწერენ), რომ რაღაც მომენტში, როცა სჭირდებათ, **„ვეშაპ“ სახელმწიფოებს „ახსენდებათ“, რომ მათ „არ ყავთ მეგობრები, აქვთ მხოლოდ მუდმივი ინტერესები“** (უკაცრავად ციტატის პერიფრაზირებისთვის)...

ეს კლასიკაა, უკვდავი კლასიკა!

და ამ ფონზე, ჩემთვის მაინც გაუგებარია (და ეს მანაც ვერ ამიხსნა), თუ რატომ იყო დარწმუნებული ედუარდ შევარდნაძე, რომ ამერიკელები მას არ „გაყიდდნენ“. სხვათა შორის, ჩემი მეგობარი ასლან აბაშიძეც ურყევად იყო დარწმუნებული, რომ რუსები მას „უერთგულებდნენ“. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ მათ იცოდნენ, თუ რამდენად მდიდარია უახლესი ისტორია მფარველთა „ღალატის“ მსგავსი ფაქტებით. და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა შეფერილობის იქნება გადაყენება-გადატრიალება-მოხსნა-განთავისუფლება და როგორ შეფუთავს მას „დირიჟორი“.

ასე რომ, ბედოვლათებისთვის მოგონილი ლეგენდა – ზღაპრები 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ საყოველთაო-სახალხო ხასიათზე, ისევე, როგორც 90-ანი წლების რუსულად შეფერილ ანტიზვიადისტურ სახალხო აჯანყებაზე, რბილად რომ ვთქვათ, „დაზუსტებას“ მოითხოვს. ისევე, როგორც... გათვალისწინებას(!!!), რამეთუ ა.წ. 31 ოქტომბრის შემდეგ ცხელი „ნოემბერი“ გველის...

ჰოდა, ვგონებ, რაღაც მსგავსი ისტორია მეორდება ახლა ბელარუსშიც. ოღონდ, თუ ძალიან არ შევტოპე, გავბედავ სახიფათო ვარაუდს: საბოლოო შედეგი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეთანხმდებიან ერთი მხრივ – ტრამპი (ანუ, დასავლეთელი „ვეშაპები“ – მერკელი, მაკრონი და მათთან მიტმასნებული ამბიციური და ცინიკოსი ბალტიისპირელები...) და, მეორე მხრივ, ჩვენი მოჩერჩეტო „პუბლიცისტიკის“ პირადი(!!!) მტერი საბურთალოს მაჟორიტარულ არჩევნებში – „მეტეხელი“ ბიჭი ვალოდია პუტინი: საბოლოოდ ვის გაამწესებენ მინსკში ჩასასვლელად, „იგორ ივანოვის“ როლზე და რა გარანტიებს მისცემენ ბატონ ლუკაშენკოს...



ამ „ცირკსაც“ მალე ვნახავთო, ტაშით დასტურს მაძლევს ჩემი განუყრელი მეგობარი კუკური!

ნუგზარ ფოფხაძე

ამერიკის საელჩოს საჩუქარი სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ფინანსური მხარდაჭერით, სახმელეთო საზღვრის დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, მობილური დაკვირვების სისტემები გადაეცა.

აღჭურვილობის გადმოცემის ცერემონია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ბაზაზე გაიმართა.

სპეციალური აღჭურვილობა სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ შარაძემ პირადად დაათვალიერა და მის შესაძლებლობებს გაეცნო. მობილური დაკვირვების სისტემები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სასაზღვრო მონაკვეთების კონტროლის შესაძლებლობებს, რაც, თავის მხრივ, დანაშაულების გამოვლენასა და აღკვეთას შეუწყობს ხელს.

ნურც თქვენ დაგვამადლით ყურადღებას და არც ჩვენ დაგამადლით ხმებს!..

ღია წერილი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს, ბატონ შალვა კერესელიძეს

ბატონო შალვა,

ა.წ. ივლისში საგურამოელების სახელით მოგმართეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან. გწერდით, რომ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი, მადლიანი, მდიდარი ისტორიისა და ტრადიციების მქონე საგურამო, სადაც ჩვენმა სათანაყვანებელმა წმინდანმა, დიდმა ილიამ თავის მშობლიურ ყვარელს თავისი შეგნებული ცხოვრების გატარება ამჯობინა, დღეს ყურადღებას ითხოვს!

სამწუხაროდ, საგურამოში მომრავლდა ნაგვით გადავსებული ბუნკერები, რაც კვირაობით არ გააქვთ და მაწანწალა ძაღლებისა და კატების ნავსაყუდელი გახდა. დიახ, იქ ირგვლივ გაუსაძლისი სუნი ტრიალებს და მიმდებარედ ენით აუწერელი ანტისანიტარიაა.

ყოფილხართ, ალბათ, საგურამოში და საკუთარი თვალით გინახავთ ეს ყველაფერი. ნახავდით იმასაც, თუ როგორ მომრავლდა მთელ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამხმარი და დაავადებული ხეები.

ნუთუ არ შეიძლება დაავადებული ნარგავების მკურნალობა და გამხმარი ხეების მოჭრა?! თუ ადგილობრივ ხელისუფლებას ამის თავი არა აქვს, მოსახლეობას მაინც მიეცით უფლება, მოჭრან და შეშად გამოიყენონ! ეს ღონისძიება ხომ ხალხზე ზრუნვაში ჩაგეთვლებათ (როდისღაც, რაღაცით ხომ უნდა გაახაროთ ხალხი?!)!

ნაგვითა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით არის სავსე საავტომობილო გზების, მტკვრისა და არაგვის, ტყეების და სოფლების განაპირა ადგილები, ხევები და ფერდობები!

არ იფიქროთ, ეს პირველი საგანგაშო შეტყობინება იყოს ჩვენის მხრიდან. მრავალგზის მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ. იმათგან სრული გულგრილობა და უპასუხისმგებლობაა.

სამწუხაროდ, არავითარი ყურადღება არც გაზეთში გამოქვეყნებულ რეპლიკას მოჰყოლია. არადა, თქვენ მაშინ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორი იყავით და გევალებოდათ დაგულისყურებულიყავით საგურამოში, მის შემოგარენსა და მთელ რეგიონში არსებული მწვავე ეკოლოგიური მდგომარეობით....

საგურამოს შუაგულში დგას ორსართულიანი ყოფილი საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის შენობა, რომელშიც თითქმის 30 წელია, ცხოვრობს 20 ოჯახი. მათ ყოველი არჩევნების წინ ჰპირდებიან: თუ ხმას მოგვცემთ, გაგიფორმებთ და დაგიკანონებთ საცხოვრებელ ფართებსო! ფაქტია, რომ ყოველთვის ატყუებენ.

ნახეთ, რას დაამსგავსეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისკენ ასასვლელი ორმხრივი გზა — გზა, რომელიც კომუნისტების დროს მშვენივრად იყო კეთილმოწყობილი, ავტომანქანების და მექანიზმების სადგომად გახადეს. გზის გასწვრივ მაცხოვრებლები კი ნაგვის დასაწვავად იყენებენ ამ სკვერს! განმკითხავი კი არავინაა.

საგურამოში ყოველ საღამოს, გვიან არის „ფეირვერკების“ საშინელი „აღლუმი“. პატრულსაც და 112-საც ვთხოვეთ, მოეგვარებინათ ეს საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. გრძელდება ჩაძინებული ბავშვების, ხანდაზმული და ავადმყოფი ადამიანების დაფეთება. ნუთუ არ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება?!.

მე, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენელს, კარგად მახსოვს, „ავადსახსენებელ“ კომუნისტურ ეპოქაში, გაზეთში გამოქვეყნებული თუ ტელევიზიით გახმიანებული საქმიანი კრიტიკა როგორ ხდებოდა შესაბამისი ორგანოების მკაცრი მსჯელობის საგანი და ყურის შებერტყვაც როგორი სწრაფი და შესაბამისი იყო.

დღეს კი... ხალხის პრობლემებისადმი ღრმად გაიდგა ფესვები წაყრუების პოლიტიკამ, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ფასეულობათა გადაფასების ეპოქაში ვცხოვრობთ, დაბეჯითებით შემიძლია, განვაცხადო: იმ დროს ხელისუფლების ყველა შტო მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მოქალაქეთა პრობლემებს.

ის, რომ საქართველო უფალმა დაადჯილდოვა ულამაზესი ფლორითა და ფაუნით, ის, რომ ჩვენ ვამაყობთ მოლივლივე შავი ზღვით, დათოვლილი კავკასიონით, მოშრიალე ტყეებით, წყალუხვი მდინარეებითა და ტბებით, მღვიმეებითა და კანიონებით, ჩანჩქერებითა და ყვავილებით მოჩითული მინდორ-ველებით, როგორ დაგვაკარგინა უმშვენიერესი სამშობლოს 20% ქართველთმოძულე სააკაშვილმა.

ყურადღების მიღმა დავტოვეთ ხალხი, არ დავგულისყურდით ხალხის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებით. არადა, უზურპატორი სააკაშვილის ხელისუფლების უგუნურმა პოლიტიკამ მოსახლეობის პრობლემებისადმი გააღატაკა ხალხი — კატასტროფულად იმატა უმუშევრობამ, რამაც აიძულა მილიონნახევარზე მეტი თანამემამულე, გაქცეულიყო საქართველოდან, უთავმოყვარეო და უმძიმესი სამუშაოების შესასრულებლად — ლუკმა-პურის შოვნისა და საკუთარი ოჯახების ფიზიკურად გადარჩენის მიზნით. კატასტროფულად იკლო შობადობამ, გაიზარდა სუიციდის შემთხვევები, იმატა ელიტარულმა კორუფციამ, ნარკომანიამ, კრიმინალმა და პროსტიტუციამ...

სამწუხაროდ, არც დღევანდელი ხელისუფლებისგან იგრძნობა საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებით ყურადღება.

ბატონო შალვა,

ორიოდე თვეში საქართველოში ტარდება მორიგი საპარლამენტო არჩევნები. თქვენ „ქართული ოცნებიდან“ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დასახელებული ხართ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად, რაც გავალდებულებთ, შეხვდეთ ამომრჩევლებს თქვენს სამოქმედო უბნებზე, მოისმინოთ იმათგან პრობლემები და შემდგომ იზრუნოთ ამ პრობლემების გადაწყვეტაზე. აქედან გამომდინარე, იმედია, შეხვდებით საგურამოს ამომრჩევლებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენი გუბერნატორობის დროს საგურამოში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, დარწმუნებული ვარ, საგურამოელთა უპირველესი თხოვნა, თუ მოთხოვნა, სწორედ ის პრობლემები იქნება, რაზეც მე ამ წერილში გავამახვილე ყურადღება.

ძნელი შესასრულებელია? - რა თქმა უნდა, არა.

ხსენებული პრობლემების მოგვარებას მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებები არ სჭირდება — უბრალოდ, ელემენტარული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ნებაა საჭირო, რაც, სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებას არ გააჩნდა. ამ ღონისძიებების გატარებით თქვენ, ბატონო შალვა, ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს დაიმსახურებთ, რაც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ძნელად მოსაპოვებელი.

შეიძლება ზოგს ჩემს მიერ წამოჭრილი პრობლემები უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს სულაც არ არის უმნიშვნელო, რადგან, უკვე ტრადიციად იქცა ეკოლოგიური მდგომარეობისადმი სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გულგრილი, ჩემფეხებური დამოკიდებულება, რაც უახლოეს წლებში ბუმერანგივით მოგვიბრუნდება. არაერთი პრობლემა განა მარტო მცხეთა-მთიანეთში, მთელს საქართველოშია. ათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა წლობით დაუმუშავებელია, ნუთუ დავითაშვილის უწყებას არ ეხება ამ საჭირბოროტო საკითხის მოგვარება?!

მე, საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დამიგროვდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობისას. მზად ვარ, გვერდით დაგიდგეთ, უანგაროდ გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება და დაგეხმაროთ ნიშანდობლივი პრობლემების მოგვარებაში. საარჩევნო ხმებსაც მე და ჩემი გარემოცვა არ დაგამადლით მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. სასურველია, თქვენგანაც ვიგრძნოთ მხარდაჭერის მზაობა.

იმედია, გამოგვეხმაურებით!

ულრმესი პატივისცემით,

ომარ მარგველაშვილი,

საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოსა და რუსეთის საინჟინერო აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.

ტელ: 599 15 83 32

200 000 ბავშვს დახმარება ჩაერიცხა... პროცესი კვლავ გაგრძელდება

„დღეის მდგომარეობით, 18 წლამდე ბავშვების დახმარების პროგრამის ფარგლებში, სადაც სახელმწიფო, 18 წლამდე ბავშვებისთვის გასცემს 200-ლარიან კომპენსაციას, დარეგისტრირდა 857 000 ბავშვის მონაცემი“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში ბექა ლილუაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, პრემიერის დავალებით, უკვე დაიწყო გაცემის პროცედურა და თითოეულ ამ ბავშვს, შესაბამის ანგარიშზე, რომელიც მისმა მშობელმა, მეურვემ, შესაბამის სისტემაში მიუთითა, 200-ლარიანი დახმარება ჩაერიცხება.

„პრემიერ-მინისტრის დავალებით, ეს პროცესი ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება და ერთი კვირის შემდეგ დასრულდება. დღეს უკვე ჩვენ ვრიცხავთ, დაახლოებით, 200 000 ბავშვის დახმარებას და ეს გაგრძელდება, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ კვირის განმავლობაში. აღნიშნული კომპენსაციები უნდა გაიცეს მანამდე, სანამ სასწავლო პროცესი დაიწყება. სწორედ ამას უკავშირდება, პრემიერის მიერ გაცემული, ერთ კვირიანი დავალება. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მაქსიმალურად დავეხმაროთ ოჯახებს, დაიკმაყოფილონ ბავშვის სწავლის პროცესთან დაკავშირებული საჭიროებები.

რეგისტრაციის პროცესი მიმდინარე წლის პირველ დეკემბრამდე გრძელდება. შესაბამისად, ვინც დამატებით, აღნიშნულ პერიოდამდე დაარეგისტრირებს ბავშვის მონაცემებს და კომპენსაციის მიღებას მოითხოვს, მასაც აუცილებლად ჩაერიცხება მომდევნო პერიოდის განმავლობაში“, — აღნიშნა ბექა ლილუაშვილმა. ინფორმაციისთვის, აღნიშნული დახმარების გაცემის შესახებ პრემიერ-მინისტრმა 2020 წლის 6 აგვისტოს განაცხადა.

სიკეთე, ნდობა, განვითარება, მშვიდობა...

არჩილ მურღულია და ალუ გამახარია (შუაში) საწარმოს ტერიტორიაზე.

ძვირფასო მკითხველო! პირდაპირ საძმით დავიწყოთ:

ბატონ არჩილ მურღულიას და მისი სახელოვანი კოლეგების შესახებ 90-იანი წლების საქართველოში ლეგენდები დადიოდა,რამაც მისი გაცნობის და მის კოლექტივთან დაახლოების მოტივაციაც გაგვიჩინა. მოგეხსენებათ, 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ აფხაზურ-ქართული ურთიერთობები საგრძნობლად დაიძაბა. ვთვლიდით, რომ ამ ვითარებაში ქუთაისის მონათესავე საწარმოს კოლექტივთან ჩვენი დაახლოება და ადამიანურ დონეზე თბილი ურთიერთობების დამყარება, ამ ხელოვნურად შექმნილი დაძაბულობის შემცირებას შეუწყობდა ხელს...

დღევანდელი გადასახედიდან მაშინ გმირობის ტოლფასი იყო ბატონი არჩილის ხელმძღვანელობით ჩვენი ქუთაისელი მეგობრების არაერთი ვიზიტი სოხუმში, შეხვედრები „ორგტექნიკის“ მრავალრიცხოვან კოლექტივთან საამქროებში, კულტურის სახლებში, მეგობრულ სუფრასთან...

ამას მოჰყვა სოხუმელი ორგტექნიკელების საპასუხო ვიზიტი ქუთაისში და თბილი მიღება, იმერეთის წმინდა ადგილების დათვალიერება, ბაგრატზე და გელათზე ლოცვები საქართველოსთვის, აფხაზეთისთვის, ზოგიერთი აფხაზი მეგობრის მონათვლა ბაგრატზე მეუფე კალისტრატეს უშუალო მონაწილეობით...

ჩვენი გათვლა სწორი აღმოჩნდა და ყინულმა დნობა დაიწყო. სოხუმში ბატონი არჩილის გამოსვლების ციტირება ხდებოდა – „Какой добрый обоятельный человек“, ამბობდნენ აფხაზები... მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. ორივე მხარეს იყვნენ სხვა ძალები, რომლებიც აფხაზეთს ომისკენ მიაქანებდნენ...

საომარი მოქმედებების დაწყებამდე, 1991 წელს, საქართველოში, კერძოდ ზემო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მომხდარმა უძლიერესმა მიწისძვრამ ჩვენს მეგობარს პირველი გამოცდა მოუწყო... ბუნებრივმა კატასტროფამ ჩვენი რაჭველი და ზემოიმერელი თანამემამულეები მძიმედ დააზარალა. მათ დასახმარებლად ბატონმა არჩილმა სოჭი-სოხუმი-ქუთაისის ფართომასშტაბური ჰუმანიტარული აქცია წამოიწყო. სოჭში ქართულმა დიასპორამ (ხელმძღვანელი ედიშერ ჩქოტუა), სოხუმში „ორგტექნიკის“ კოლექტივმა, ჩვენს ქუთაისელ მეგობრებთან ერთად მართლაც შთამბეჭდავი ჰუმანიტარული აქცია მოაწყვეს და მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგით დატვირთული მანქანების კოლონა, **„კონფლიქტებით ცეცხლმოკიდებული აფხაზეთი ორგტექნიკელებმა ისე გამოატარეს, რომ თითზე ძაფის გადასახვევი საფასურიც კი არაფერი დაკარგულა“,** წერდა იმ დროს ცნობილი ჟურნალისტი ალექსანდრე შენგელია... ეს სტრიქონები ბატონი არჩილის შესანიშნავ მემუარებშიცაა მოყვანილი.

ცოტა ხანში აფხაზეთში ნამდვილი ძმათამკვლელი ომიც დაიწყო. ეს, ცხინვალის ავადსახსენებელი 5-დღიანი ომი კი არა, თითქმის 13-თვიანი უთანასწორო და უწყვეტი ბრძოლა იყო რუსეთთან! მთელ ამ პერიოდში ჩვენი კოლექტივი, სოხუმი, ბატონი არჩილის, ელექტრომექანიკოსების, ქუთათურების თანადგომას გრძნობდნენ... მიუხედავად ამისა, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო... 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და ორგტექნიკელები დაადგნენ გოლგოთად წოდებულ საკენ-ჭუბერის გზას.

...1993 წლის ოქტომბერში „ელექტრომექანიკური“ ქარხნის ჭიშკარს მიადგა 200-ზე მეტი მშიერ-მწყურვალი, ტანისამოს და ფეხსაცმელ შემოფლეთილი, წვერგაუპარსავი, კვირაობით საკენ-ჭუბერის მთებში ყინვით, თოვლით და უგზოობით დატანჯული ორგტექნიკელები და მათი ოჯახის წევრები. ელექტრომექანიკოსებმა გულში ჩაიკლეს თავიანთი მეგობრები, ყველა განათავსეს ორ საერთო საცხოვრებელში, ყველას დაენიშნა კვება, დაურიგდათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

ბატონი არჩილის უშუალო თანადგომით, ძალიან მალე მოხერხდა (ორგტექნიკელებისთვის) საწარმოო ფართობების გამოყოფა და მათ ხელთ არსებული საშუალებებით თანდათანობით მარტივი პროდუქციის გამოშვების დაწყება. ეს ჩვენს მიმართ ენით აღუწერელი თანადგომა იყო.

ყველაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ ის, რაც მაშინ ბატონმა არჩილმა გააკეთა, შეეძლო მხოლოდ ძალიან დიდ ადამიანს! ეს შეეძლო მხოლოდ სახელმწიფო აზროვნებისა და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, სამშობლოზე შეყვარებულ პატრიოტს. განვლილმა ცხოვრებამაც გვიჩვენა, რომ ბატონი არჩილი ნამდვილად ასეთი ადამიანია...

...გავიდა 30 უმძიმესი წელიწადი აფხაზეთის ომის დაწყებიდან, ბევრი რამ შეიცვალა ამ დროში, თითქმის საუკუნის მესამედია გასული. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა და ხალხი ჯერ ისევ საომარ ვითარებაში იმყოფებიან. „ორგტექნიკა“ და „ელექტრომექანიკოსიც“ დღეს სხვა სინამდვილის პირისპირ დგანან. ერთ დროს მრავალრიცხოვანი, დიდი ორგანიზაციები უკვე აღარ არსებობენ. ცხოვრებამ მოიტანა, რომ ამ კოლექტივების ცალკეული ჯგუფები, რომლებმაც მეტი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინეს, საქმიანობენ დამოუკიდებლად, როგორც ცალკე მცირე კომპანიები, ზოგი ინდმეწარმე გახდა...

„ელექტრომექანიკოსის“ აღიარებულმა ხელმძღვანელმა, ყველა ჩვენგანისთვის დიდად პატივსაცემმა არჩილ მურღულიამ, სამეწარმეო კარიერის შემდგომ, პუბლიცისტის და მწერლის საოცარი ნიჭი გამოავლინა... წერს და აქვეყნებს საინტერესო წიგნებს, ახარებს მეგობრების, ახლობლების და თანაქალაქელების გულს.

ჩვენ, „ორგტექნიკელებმა“ მართალია, საწარმო და კოლექტივი იმ ფორმით, რაც იყო, ვერ შევინარჩუნეთ, მაგრამ ცხოვრებას მაინც ვაგრძელებთ! თან მიმაჩნია, რომ წარმატებულად ვაგრძელებთ საქმიანობას ერთდროულად სამოქალაქო სექტორშიც და საოჯახო სამსაშურშიც. ახლახან დასტამბულ ფერად ბუკლეტებში თქვენ ნახავთ, თუ რამდენად მრავალფეროვანი და შთამბეჭდავია „ორგტექნიკის“ მენეჯმენტის მიერ შექმნილი ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ და სსიპ „ბიზნესინკუბატორის“ მოღვაწეობა. პირველი დაკავებულია ქართულ-აფხაზური ნდობის მშენებლობით, მეორე კი – ახალგაზრდების სტაჟირებით და დასაქმებით!

„ორგტექნიკა“ ერქვა გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ საწარმოო გაერთიანებას. მოგეხსენებათ, ის აფხაზეთში ძმათამკვლელი ომის შემდეგ ქუთაისში გადმოვიდა. სოხუმში დარჩენილ სათავო საწარმოს ერქვა და დღესაც ჰქვია „სოხუმხელსაწყო“.

როცა ჩვენ ბატონი არჩილ მურღულია გავიცანით, 30 წლის წინათ, „სოხუმხელსაწყოს“ დაარსებიდან ზუსტად 30 წელი იყო გასული!

პირველად 30 წლის იუბილე „სოხუმხელსაწყომ“ და გაერთიანება „ორგტექნიკამ“ ქალაქ სოხუმში აღვნიშნეთ. ახლა 60 წელს ცალ-ცალკე აღვნიშნავთ, „სოხუმხელსაწყო“ – სოხუმიში, ორგტექნიკელები კი მთელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენები მოსკოვშიც არიან და სანკტ-პეტერბურგშიც, კიევშიც და მინსკშიც... არიან ისრაელში, საბერძნეთში, ამერიკაში, ესპანეთში და სხვაგან.

აი, როგორი შთამბეჭდავი დამთხვევაა, ჩვენი საწარმოს დაარსებიდან 60 წელი და „ელექტრომექანიკოსთან“ მისი დამეგობრების 30 წელი. ყველა სოხუმხელსაწყოელს და ორგტექნიკელს ვულოცავ მისი დაბადების 60 წლისთავს! ხოლო ყველა ელექტრომექანიკოსელს, ბატონი არჩილ მურღულიას თავკაცობით, ვულოცავ ამ ორი კოლექტივის დამეგობრების 30 წლისთავს!

განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მოვიხსენიო „სოხუმხელსაწყოს“ დამფუძნებელი და პირველი დირექტორი ბატონი ალექსანდრე (ალიოშა) მიქაძე, რომელიც 28 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას და აფხაზეთის სინამდვილეში ერთ-ერთ გამორჩეული კადრების „სამჭედლოდ“ წოდებულ საწარმოდ აქცია. ბატონ ალიოშას 75 წლის იუბილე სწორედ ორგტექნიკელებმა და „ელექტრომექანიკოსის“ კოლექტივმა ერთად მივულოცეთ, ქუთაისში მას მასშტაბური ღონისძიება მივუძღვენით.

„ორგტექნიკა“, როგორც საწარმო, დღესაც აქტიურია. მჯერა, მისი დროც მალე მოვა! ის ახლა აღორძინების ახალ ეტაპს იწყებს. იგი გამოუშვებს ხის სუვენირულ კალმებს. ის უკვე მომხმარებლების მიერ მოწონებულია და თანდათანობით მოთხოვნადიც ხდება....

საიდან მოგვაქვს კალმებისთვის მასალა? ნედლეული შავი ზღვის მარილიან წყალში „მოხარშული“ და მერე გამშრალი ხის ჯოხებია, მთავარი და ფასეული დეტალი სწორედ მათგან კეთდება. ხის ტოტები, ჯოხები ზღვის სანაპიროდანაა... თითქოს აფხაზეთის მდინარეების მიერ ზღვაში შეტანილი და იქიდან ქართულ მხარეს სპეციალურად „გადმოგზავნილი“ გვგონია... ვთვლი, რომ მასალას ჩვენი აფხაზი მეგობრები გვაწვდიან... ღვთის შთაგონებით, ბუნებრივად მოწყობილი კოოპერაციაა.

დამზადებული პროდუქცია სოხუმში მცხოვრებ ძველ თანამშრომლებს ახლახან საჩუქრად გავუგზავნეთ ქუთაისიდან. მიუღიათ, გახარებიათ, მადლობები გვიხადეს. ჯერ ასე გავაგრძელებთ და მერე ვიფიქრებთ, იქნებ საქმიან ურთიერთობაშიც გადაიზარდოს და გაწყვეტილი კავშირების აღდგენა დავიწყოთ ქუთაისსა და სოხუმს შორის, ეს ხომ არავის ხელს არ უშლის და საფრთხესაც არ უქმნის...

დასტურ, რომ ასეა, სახალხო დიპლომატია და ქართველ-აფხაზთა შორის ნდობის აღდგენა სწორედ ასე შეიძლება...

ალუ გამახარია,
სოხუმის „ორგტექნიკის“ გენერალური დირექტორი, ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ დირექტორი.
(ქუთაისი, 2020 წლის 31 აგვისტო).

ქუთაისში, ბიზნესინკუბატორის ტერიტორიაზე აფხაზეთის მრავალპროფილური კულტურის ცენტრი აშენდება...

ტკივილების ვერნისაჟზე

ᲕᲔᲠᲜᲘᲡᲐᲟᲖᲔ **გეპატიჟებით, ბატონებო, ტკივილებით, დიდი სევდითა და დარდით შეფერილ ვერნისაჟზე, რომელსაც სხვა ვერნისაჟებისგან განსხვავებით ერთადერთი ავტორი ჰყავს, თმაში ვერცხლგარეული ქალბატონი, რომელიც ამ ფეერიული მისტერიის მნახველებს თავის სულს სთავაზობს და მის იდუმალ ხვეულებში სამოგზაუროდ იწვევს.**

ᲪᲘᲠᲐ ᲨᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ ეს სახელი და გვარი ბოლო დრომდე თითქმის არაფერს მეუბნებოდა. კი ვიცოდი, რომ ქუთაისში ცხოვრობდა, ქუთაისში მოღვაწეობდა, მაგრამ მის პოეზიასთან ზიარების საშუალება თითქმის არ მქონია. არადა, როგორც კი ხელში ჩამივარდა მისი მრავალმხრივ საინტერესო და საგულისხმო ერთტომეული „მე მახსოვს მიწა რომ ვიყავი“, მივხვდი, რომ ჩემი თვალთახედვის არეში მოექცა უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედი, რომელსაც საკუთარი ორიგინალური მსოფლაღქმა, გინა განცდა აქვს, საკუთარი, ყველასგან გამორჩეული ხელწერა... პოეტია და სულაც არ ერიდება, მისი ტკივილები და განცდები სამზეოზე გამოიტანოს და ყველას დაანახოს, თუ რისგან იქმნება მისი უნატიფესი სტრიქონები.

ცირა შალაშვილი სხვათა დარად თავის ბავშვობიდან მოდის, იმ ულამაზესი ზღაპრული სამყაროდან, სადაც, როგორც წესი, უმსუბუქესი და გამჭვირვალე ფერები სჭარბობს. ამ სამოთხეში

თითქოს ნამცეცა ვარსკვლავები
ზანზალაკებს აწკარუნებენ
და მიწა ისე მიიწევს ცისკენ,
მათ შორის მხოლოდ ნიავივით ღრუბელი
მოსჩანს...

ჰოდა, იმ საოცრებებიდან რეალურ სამყაროში შებიჯებისთანავე გრძნობს, თუ რამხელა პასუხისმგებლობაა, ქართველად მოევლინო სამყაროს, ქართული მიწის მცველად და მეოხად, იმ პაწაწკინტელა, ნამცეცა მიწის ნაგლეჯისა, რომელიც ამ სიმცირის მიუხედავად ობოლ მარგალიტად უჩნდათ მისი იავარქმნისა და მოსპობის მსურველებს.

სულ ქართველს ჰგავხარ მუხაო,
შენის ბედით და წესითა,
საწუთისოფლო მინდორზე
დარგულო უფლის ხელითა.

ცირა შალაშვილიც ჩაკირული ქართველია, უფლის ხელით დარგული ღვთისმშობლის წილხვდომილ საწუთისოფლო მიწაზე და ისიც, როგორც მამის მხრებს, ისე ეყრდნობა კავკასიონს, მის გოროზ და მიუვალ მწვერვალებს, იქიდან დაჰყურებს საესავ სამშობლოს და გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ თანდათანობით ემსგავსება ივერთა მიწა ბაბილონის გოდოლს, ჩამოშლილსა და იავარქმნილს, როგორ ილევა და პატარავდება მისი საბრალო დედილოსავით, როგორ პარავენ მის სამშობლოს სახვალიო ღიმილს, როგორ სდის ილორის წმინდა გიორგის მირონად ცრემლი. დადის იმ მიწაზე, ადრე რომ სამშობლო ერქვა, საკუთარი ოქროს საუკუნე რომ ჰქონდა და რწმენისა და სიყვარულის ფორპოსტს წარმოადგენდა. ახლა აქ ქართულად არც ვტირით და არც ვმღერით, დიდი ბაგრატოვანის, კახთბატონის სამეფო ხმალი მუზეუმში ჟანგდება, სამაგიეროდ კი გესლსა და შხამს ყვავილობის ჟამი უდგას. ვტრაბახობთ, ოქროს საწმისი კოლხური მუხის ტოტზე ეკიდაო და თავად ჯერაც ტყემალზე ვსხედვართ და ერთმანეთს ნაცარს ვაყრით თვალებში. მშობელივით ძვირფასი დედაენის ხსენება უკვე ქილიკის საგნად ქცეულა, ენის დედობა და მამობა ვინ გაიგონაო. კარგად ესმის, რომ ჭეშმარიტ თავისუფლებას და მომავალს საუფლოს ხონჩით არავინ არიგებს, რომ მათ მოპოვებას სისხლზე მეტად, დაღვრილ სისხლზე მეტად შრომა და ოფლისღვრა, ოფლისღვრა და შრომა სჭირდება. მაგრამ, ეს მაგრამაა, გულს რომ უკლავს:

წარსული როცა
მომავალზე ასჯერ მეტია,
რა ვუთხრა აწმყოს,
ესეც ვითომ ბედის ეტლია?
რაც აქამომდე
ერთადერთი იყო ღვთის მერე,
დღეს სულერთია,
ყველასათვის
დღეს სულერთია!

ყოველივე ამის შემხედვარეს თითქოს ისღა დარჩენია, უფალს შესძახოს, რაღაც უცდი დალოცვილო, მოდი და ეს თამაშიც დავამთავროთო. მაგრამ როგორ შეველიოთ ამ სილამაზესა და მშვენიერებას, როდესაც გრძნობ, რომ აქედან ლურჯი მარადისობაც სულ ერთი ხელის გაწვდომაზეა, როდესაც გელათის კედლიდან საქართველოს თვალს არ აშორებს დიდი დავითი, ცალი ხელით ქარქაშიდან თავისით ამოსული ორლესული რომ ჩაუბღუჯავს, როცა ზღვიდან სავსე მთვარესავით მოირწევა თუთაშხია, ღვთიური მადლით გასხივოსნებული ჩვენი ეროვნული სიამაყე. არა, ბატონებო, ყოველივე ამის შემხედვარეს არც ჩამუხვლის და არც ყურების ჩამოყრის უფლება აღარ გვაქვს, მით უმეტეს ეშმაკისთვის ლოყის მიშვერის უფლება:

თავს ვიკავებ, რა ხანია,
ჯავრით რომ არ გავიცინო,
მეტი ლოყა რომ აღარ მაქვს,
რა ვქნა, რაღა მოგიშვირო?

ეტყობა, მართლა დამთავრდა ლოყის მიშვერის დრო და ახლა ისღა დაგვრჩენია ქართველებს, თვალებში ჩავხედოთ ერთმანეთს და იმ თვალებში ამოვიკითხოთ, ვართ თუ არა ამ ქვეყნის ღირსნი, თავის დროზე უფალმა რომ გვიწყალობა.

* * *

ᲪᲘᲠᲐ ᲨᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ თითქოს ბევრს არ წერს დედაზე, მის უსაყვარლეს არსებას სულ რამდენიმე ლექსი უძღვნა, მაგრამ დედის ხატება, დედის სახე მისი პოეზიის მარადიული თანამგზავრი გახდა, როგორც იმერეთის მკვიდრნი იტყვიან ხოლმე, მის პოეზიას დაედარა და იქ ისე ჩუმად, ისე უხმაუროდ დაიდო ბინა, როგორც ეს მხოლოდ დედებს ხელეწიფებათ. ქალბატონი ცირა დედაზე უბრალოდ, ყოველგვარი ყალბი გრძნობების დემონსტრირების გარეშე გვიყვება და ამ სისადავეში იმხელა მუხტია ჩადებული, რომ ცრემლი უნებურად ყელში გებჯინება და დახრჩობას გიპირებს. გაზაფხულდება და სასწრაფოდ უნდა კახეთში გაქცევა, საცაა მერცხლები მოფრინდებიან და დედაჩემი რომ არ დახვდებათ, რა ეშველებათო. ან კიდევ, დედა დაესიზმრება და დილით მხოლოდ იმაზე ფიქრობს,

რომ ენახა
რა ბედნიერს გამომეღვიძა —
აღარასდროს არ მოკვდებოდა.

კიდევ ერთი მინი-შედევრი პოეტი ქალბატონისა:

ამოირბინა ბალახმა კიბე
და ფანჯარაში რომ შეიხედა, —
გაქვავდა!
ისე იყურებოდა
კედლიდან ჩუმი ლოდინით დედა.

ვიმეორებ, მავანმა შეიძლება ტომეულები უძღვნას დედის ხსოვნას, მაგრამ ასე ზედმიწევნით ზუსტად მაინც ვერ გადმოსცემს სულის იმ მდუღარებას, რასაც ცირა შალაშვილი განიცდიდა იმ უაღრესად მნიშვნელოვანი სტროფების შექმნისას.

* * *

ᲗᲣ რამით დააჯილდოვა არსთაგამრიგემ ცირა შალაშვილი, უპირველესად, სიყვარულის ნიჭით და მისი პოეზიაც ამ ულამაზესი გრძნობითაა დამუხტული. პოეტის ალტერ ეგო სიყვარულის მხევლად ქცეულა და კარდიოგრამის გადაღებისაც კი ეშინია, წინასწარ იცის დიაგნოზი — ის სახელი, რომლის ხსენებაზეც ლამის გული ამოუვარდეს.

მღელვარებით ხელებგაშლილი
ჩემი მწვანე აეროდრომი
ფეხშიშველა გამორბის შენსკენ
და გზაზე ფანტავს
ათრთოლებულ მოუთმენლობას.

სიყვარული შეუძლია, დიდი სიყვარული და ერთგულება, ამიტომაცაა, რომ ტელეფონის სიკვდილსაც უმშვენიერეს რეკვიემს უძღვნის, რომლის ზარიც აღარ აამღერებს ოთახს, აღარ აავსებს მის სამყაროს ნანდაურის ჟრუანტელისმომგვრელი ხმით, იმ ნანდაურისა, რომელიც ერთმა ღმერთმა იცის, რატომ წააგავს თიბათვის წვიმას. თავადაც სიყვარულის წვიმებით მთვრალი ბედობა დღეს ხვდება, რომ წუთისოფლის უკვდავებას დაუნანებლად გაცვლიდა მის სიყვარულთან გატარებულ თუნდაც ერთ წამზე იმიტომ, რომ მარტო შვილი, ცოლი და დედა კი არ არის, არამედ ქალი, სიყვარულისთვის და ჟრუანტელებისთვის შექმნილი არსება და თუ ვერავინ დაინახა მასში ციური ელვა, დღეში ათასჯერ ეცვლება მხარი. ჩემს სიზმარს შენი სურნელი ჰქონდა, ისევ ანთია ჩემს სხეულზე შენი ტუჩებიო, ეჩურჩულება სიყვარულს და თან პატიებას სთხოვს, ვერ გადაგარჩინე, ისე ჩამადნი თითებში ჩიტის ბარტყივით, ფრენაც კი ვერ გასწავლეო. ყოველდღიურობამ შეჭამა ჩემი სიყვარული, აი, ახლაც მის თვალწინ წეროს ნისკარტით მოლუსკივით გამოათრია ფიქრის უხილავ ნიჟარაში მიმალული ნატვრის უკანასკნელი ნაგლეჯი და **მე გვალვით ვკვდები —/სხვას არწყულებს/შენი მერწყული,/მზის ქარიშხალმა/ისევ ჩემს ცას გადაუარა —/ყოფის მკლავებზე/ნებიერად წევს ოაზისი/და ვინ გაიგებს,/ამ წყურვილზე/ფიქრობს/თუ —/არა.**

რომ იცოდეთ, როგორ მინდოდა, ცირა შალაშვილის ყველა იმ ლექსზე მესაუბრა თქვენთან, რომლებიც სიყვარულის უძლეველი მადლითაა ნიშანდებული, თითქოს შევეცადე კიდეც, მაგრამ ინტუიციამ მიკარნახა, რომ ეს სიზიფეს ლოდთან შეჭიდების ტოლფასი იქმნებოდა, რადგან მაშინ ამ წერილისთვის პოეტის ერთტომეული უნდა დამერთო. ამიტომაც ვჩერდები და მხოლოდ ერთ ლექსს შეგახსენებთ:

წამო, ზღაპრებში გავიპაროთ!
აქ ყველაფერი
ცხადზე ცხადი და მოსაწყენია.
. . . . . .
ზაფხულს უაზროდ მოსდევს ზამთარი
და უშენოდ ვარ,
მთელი წელია!

ასე სასხვათაშორისოდ ითქვა ფრაზა, რომელმაც ვეება ტკივილი და დარდი დაიტია. იმ წელიწადის ყოველი დღე კი არა, ყოველი წუთი და წამი ხომ ტანჯვით და დაგუბებული ტკივილებით იყო სავსე და წალეკვით ემუქრებოდა ყველას და ყველაფერს.

და მაინც, მზე მიგალობს ხასიათშიო, აცხადებს პოეტი და თვითონაც ვერ ხვდება, რომ ამ ფრაზით იმ კუთხის, იმ ქალაქის მკვიდრთა დევიზს აყალიბებს, იმერეთი და ქუთაისი რომ ჰქვია სახელად. ქუთაისელთა რძალია და საოცრად მოუხდა სავარდო და სამაისო ქალაქს, საკუთარი ფერადები შემატა აკაკის და გალაკტიონის საუფლოს და მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა — **წამო, ბაგრატზე —/იქ ცისფერ ნიავს/მოაქვს გელათის ლურჯი ზმანება/და შენი სული ამ სიცოცხლისთვის/შეგენანება, შეგენანება!**

აქ ხომ სტუმარი ღვთის კაცია და ამიტომაც დღეღამის ნებისმიერ მონაკვეთში „სამასპინძლო ჟღერს მოტივი ხმელთა ზე და წყალთა შუა“. და კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი ბაგრატზე: **როგორ დაბერდა ეს დროც,/ჩემსავით,/შეუსვენებლად მსრბოლი აქამდი./ისე ფერმკრთალი და საყვარელი,/უმსუბუქესი/ნისლის ბარხატით,/სივრცის ჩარჩოში/მარადისობის/ ხელით ნახატი/მოჩანს ბაგრატი.**

ისეთი უმსუბუქესი და მშვენიერია ეს ლექსი, რომ ავტორს სულ ადვილად ვპატიობთ ისეთი სიტყვის გამოყენებასაც კი, როგორიცაა „ბარხატი“.

ქუთაისი ქუთაისად, მაგრამ ცირა შალაშვილი ყვითელგულა წიწილა არ არის, რომელსაც აღარასოდეს ახსენდება ის კვერცხის ნაჭუჭი, საიდანაც გუშინ გამოძვრა. უფრო კი პირიქით:

ისე ბრიალა, /ისე მშვიდი/მზე ამოფრინდა,/ცაც ისეთია,/ლურჯი,/ლურჯი/და ისე წმინდა/— ვეღარაფერზე ვეღარ ვფიქრობ,/ კახეთში მინდა!

რა თქმა უნდა, კახეთში, ურომლისოდაც საქართველოს ნებისმიერ კუთხეს პეწი და ლაზათი დაეკარგებოდა. განსაკუთრებით კი ყვარელია პოეტის სანატრიონი, მისი საფიქრალი. ღრუბლებისა შურს, თითოეულ დაბერვაზე აღმოსავლეთისაკენ რომ მიფრინავენ, მე კი ბეჩავი, თვალს გაგაყოლებთ მხოლოდ და მხოლოდო, თუმცა მისთვის მთავარი მაინც ისაა, რომ ალუბლები დღემდე ჰყვავიან ყვარელს და ღმერთმა სხვანაირად ნუ ჰქნას:

მე ახლა მწვანე ალაზანს იქით ვწევარ
და შენით ვირწყულებ გვალვას.
და მსურს თუ არა, და მსურს თუ არა,
არცერთი წამით უშენოდ არ ვარ.
. . . . . .
რომ ხარ მისთვისაც მადლობა უფალს,
რომ არ მჭირდება გამოგიგონოთ.

ალაზანი რომ ალაზანია, მდორედ და ტაატით იმიტომ მიედინება, რომ სულაც არ ეჩქარება საქართველოდან გასვლა და, ალბათ, ამიტომაც უყვარს პოეტს განსაკუთრებით...

ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ ცირა შალაშვილი ის პოეტია, რომელიც არავითარ შეღავათებს არ ითხოვს, უფრო მეტიც, იგი ქართული პოეზიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და თავისი აზროვნების სტილით, თავისი მსოფლაღქმითა თუ მსოფლგანცდით, ქართული ტრადიციული თუ არატრადიციული ლექსთწყობის უზადო წვდომით გამოირჩევა და ქართველ პოეტთა ავანგარდში მოიაზრება. მშვენიერი ხილვებისა თუ ზმანებების ავტორია: ღრუბლებში აზიდული ზეცა მინანქრის ფრესკას აგონებს, ვაზი — მზისხივებშემოხვეულ სალოცავს, ყვარელი — ხობის ნატიფ ყელს, ღობის ძირას აყვავებული ალუჩა მარტის ფიფქებით გადაპენტილი საპატარძლოა, იმის დანახვაც შეუძლია, თუ როგორ წვიმს მზეში ლაჟვარდთა წყება. გვარწმუნებს იმაშიც, რომ ისე გამალებით მიიწევს ცად ქათქათა ალავერდი, რომ საცაა, მოწყდება მიწას და მარადისობას შეერევა. ხალხური პოეზია მისი შთაგონების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. ნახეთ, რა მოხდენილად იყენებს მის სალექსო ფორმას:

მზეს რომ შესცინი იაო,
ნეტავ რა გიხარიაო,
აგე, ღრუბლები შეყრილან,
კარგს არას გიქადიანო —
შენც რაღა იმათ უყურებ,
გაუშვი, მისთვის იარონ,
იმათაც შეუყვარდებათ,
ცრემლადაც დაიღვრიანო.

ეს ცირა შალაშვილის ლექსია, რომელიც ვინ იცის, საუკუნეების შემდეგ ხალხურ ლექსადაც მოიხსენიონ, იმდენად დახვეწილია და იმდენად ახლოს დგას ბრძენი გუთნისდედის ფილოსოფიასთან.

ეს წერილი ქალბატონ ცირას ერთი უმშვენიერესი ლექსით მინდა დავასრულო, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს მის ბობოქარ, დაუდგრომელ სულს, გეზი მარადიულობისა და ვარსკვლავებისაკენ რომ აქვს აღებული.

წუხელ ცას ჩუმად
დარჩენოდა
სარკმელი ღია
და მე გავფრინდი,
ბოლოს და ბოლოს,
დედამიწის ცხრაკლიტულიდან —
ჰეპელასავით
შევერიე
იისფერ ციაგს.

იცით, დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი ამ ფეერიული მისტერიის მონაწილე, სიამოვნებით შევერეოდი იისფერ ციაგს.

თქვენ?

ᲖᲐᲐᲚ ᲑᲝᲢᲙᲝᲕᲔᲚᲘ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ“ თავის გვერდებზე სადისკუსიოდ გამოიტანა ორი რესპონდენტის შეხედულება სტალინზე: „რა როლი მიუძღვის იოსებ სტალინს ცხინვალისა და აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორების საქმეში“? რესპონდენტი ბატონი ვახტანგ მაისაია სერიოზულად მისდგომია საკითხის განხილვას და ამომწურავადაც გაუცია პასუხი. როგორც ყოველთვის მისი სიტყვა წონადია და ამ შემთხვევაში უკომენტაროდ შემიძლია დატოვება და მის პასუხებზე დათანხმ ება, როგორც ჭეშმარიტებისა.

მაოცებს მეორე რესპონდენტის, პროფესორ-ისტორიკოსის, მით უმეტეს ისტორიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის ვაჟა კიკნაძის დასკვნები და შეფასებები სტალინზე. ბატონო პროფესორო, თქვენ სხვა ვინმე ორჯონიკიძეზე ხომ არ საუბრობთ? და თუ ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე გყავთ მხედველობაში, თქვენ მაღალი სიცხე გაქვთ და კორონავირუსის ცენტრში უნდა გაესინჯოთ. ალბათ, არ იცით, რომ სტალინი და სერგო სრულიად მოწიფულობაში შეხვდნენ ერთმანეთს რევოლუციის გზაზე და თავ-თავიანთი წვლილი უკვე შეტანილი ჰქონდათ რევოლუციის მომზადებაში. ინდუსტრიალიზაციის განვითარების საქმეში თუ მეტი არა, ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს და თქვენი სერგო ორჯონიკიძის შედარება „პაიკთან“ სრულ შეუსაბამობაშია.

ყურადღებებ და ყურმოკრულ ისტორიკოსებზე...

აბელ ენუქიძე თქვენ დიდი კაცი გგონიათ, ალბათ, იმიტომ, რომ სტალინთან მუშაობდა, არა? იცით, ვინ იყო აბელ ენუქიძე? ... არ იცით!

ჩვენი ყურმოკრული ისტორიკოსი ვაჟა კიკნაძე იმოწმებს სტალინის გარდაცვალებიდან ათეული წლების გავლის შემდეგ მენშევიკების მიერ შეთხზულ ზღაპარს და დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ სტალინის მშობლიური ენა რუსული იყო.

პირველი ცრუ ინფორმაცია ამ ცნობისა გავრცელდა დესტალინიზაციის მეორე ეტაპზე, როდესაც გამოვიდა წიგნი „ მე, იოსებ სტალინი“. სხვა ცილისმწამებლურ განცხადებებთან ერთად, ამ წიგნში მოთავსებულია სვეტლანა ალილუევას პასკვილი მამამისზე ცრუ-ს კაბინეტებში დაწერილი: „ოცი წერილი მეგობარს“. ამ წიგნში მოყვანილია ფაქტი, რომ სტალინმა ანკეტაში, რომელიც შეავსო 1931 წელს, მოსკოვის ზამოსკოვორეჩიეს პარტკონფერენციის დელეგატად არჩევის დროს, თითქოს ანკეტაში ჩაწერა, რომ მისი ნაციონალური წარმოშობა არის ქართველი, ხოლო მშობლიური ენა რუსული.

აღნიშნული ანკეტა (ასლი) გამოფენილია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის მუზეუმში და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს კი უნდა ჰქონდეს დათვალიერებული მუზეუმის ექსპონატები და, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მაღალი ნდობის ხარისხის მქონე პიროვნება, ასეთ ბრალდებას უყენებს ყველაზე დიდ ქართველს ქვეყნის არსებობის პირობებში.

ბატონო ვაჟა, რომ იცოდეთ, იმ ანკეტაში საერთოდ არ არის მინიშნებული, თუ რომელი ენა არის დელეგატის მშობლიური ენა და ამდენად სტალინი ვერ გასცემდა დასმულ კითხვაზე პასუხს. ასე, რომ თქვენი რანგის ისტორიკოსი ყურმოკრულ ამბებზე ბეჭდვურ მედიაში ასე თავმომწონედ კომენტარს არ უნდა აკეთებდეს.

ფაქტი მეორე – როდესაც რესპონდენტმა იხმარა ციტატა **„არ არის პიროვნება, არ არის პრობლემა“** და ეს სტალინს მიაწერა – ამ ფრაზის ავტორმა, მწერალმა მ. ბულგაკოვმა სასამართლოში უჩივლა რესპონდენტს ხატოვანი ფრაზის მითვისებისთვის. შენ, ამხანაგო ვაჟა, არ ხარ სწორი, რომ ასეთ ბრალდებას უყენებ სტალინს უაპელაციოდ და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე.

რაც შეეხება სტალინის ქართველობას და მის მშობლიურ ენას, ჰკითხე(!) ან წაიკითხე ნიკო ბერძენიშვილი, მალაქია ტოროშელიძე, მარშალი გოლოვანოვი, კანდიდ ჩარკვიანი, აკაკი მგელაძე, აკაკი ვასაძე. წაიკითხე მისი ლექსები, მოგონებები. მისი ნაშრომი ენათმეცნიერებაში, ნიკო მართან საუბრები და მიხვდები, რაოდენ უცოდინარი ყოფილხარ ისტორიაში და ენათმეცნიერებაში მასთან შედარებით (როგორც ამას ბატონი ნიკო ბერძენიშვილი შენი შნიშნავს).

ფაქტი მესამე – მის ქართველობაზე აი, კიდევ რას მოგიყვები:

„თამადამ საქართველოს სადღეგრძელო ასწია – იგონებს აკაკი ვასაძე – **და სადღეგრძელო იმით დაადასტურა, რომ საქართველომ კაცობრიობას სტალინი მისცა.**

– მოიცა, მოიცა! – ბოლო სიტყვაზე შეაჩერა სტალინმა, – მაშ, ის ქვეყნები, რომელთაც კაცობრიობისათვის სტალინი არ მიუცია, დღეგრძელობის ღირსნი არაა? მერე და, მართლა მე რომ განსაკუთრებულად მახსენებთ საქართველოს შვილად, დავით აღმაშენებელს რაღას ეუბნები, ან სხვები რად დაივიწყე? გაუმარჯოს საქართველოს ხალხს და მის ბუნებას, მის წარსულსა და მის მომავალს, მის ბარაქასა და სილამაზეს, მართლაც, ამ ძალზე უცნაურ მხარეს დედამიწის ზურგზე, განა აუცილებლად სხვებზე უკეთესს და უფრო ლამაზს? არა, თავისთავად კარგსა და თავისებურად განუმეორებელს, – თქვა და პატარა ვერცხლის სირჩა გამოცალა“.

ფაქტი მეოთხე – სტალინმა სადილზე საქართველოს საზღვრებზე ჩამოაგდო საუბარი, რუკაზე მოხაზეს ახალხევისა და ქლუხორის შემოერთებული მიწა-წყლის საზღვრები. სტალინის სიყრმის მეგობარმა მიხეილ ტიტვინიძემ გულუბრყვილოდ შესჩივლა სტალინს – სხვისი მიწები რად გვინდა, რაც ჩვენი იყო, ნეტავ ის დაგვაბრუნებინაო.

„შენს ორმხრივ ნათქვამსაც მიგიხვდი, ჩემო ძმაო; რაც შეეხება მეორეს, საბაბს არ გვაძლევს მიმტაცებელი, ჩვენი მიწები რომ დავიბრუნოთ და მარტო საქართველოს კი არა, საბჭოთა კავშირს კანონიერად შემოვუერთოთ, თორემ, საბაბი რომ იყოს, ყარსსა და არდაგანს, ტრაპიზონამდე მთელ მიწებს უკან ჩავიბარებდით“.

საუბარი საუბარს მიჰყვებოდა და ქართულ სალიტერატურო ენამდე მივიდნენ – **„ყველა ენა ეკონომიის გზით ვითარდება, რომ უფრო საღად, უფრო ნაკლები სიტყვებით გამოიხატოს აზრი. ენის განვითარების საკითხი სახელმწიფოებრივი საკითხია და, ამიტომაც, მისი დადგენის საქმეში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს. მის დადგენას, ჩამოყალიბებას, ზუსტი ნორმების გამომუშავებას ერთ-ორ კაცს ჩვენ ვერ მივანდობთ. ენის ეკონომია მე ასე მესმის: მაგალითად, წინათ ამბობდნენ:“ ტყესა შინა“ ან „სახლსა შინა“ ახლა იტყვიან „სახლში“ ან „ტყეში“, ცუდია? მთიულური, ხევსურული, თუშური, ფშაური კილოკავებით აუცილებლად გამოსაყენებელია. მერე და ამ კილოკავების, ამ კუთხური მეტყველების ფორმების გამოყენებით რამდენად გაიზრდება ლექსიკაც! ყველა ეს – ქართული ენაა და რა კუთხურიც არ იყოს სიტყვა, თუ იგი სალიტერატურო მეტყველებას სჭირდება, გამოყენებული უნდა იქნას. ენის საკითხი უაღრესად რთულია და ამ საკითხში, ვიმეორებ, თვით სახელმწიფო აპარატის ჩარევაა საჭირო. საქართველოში ენის გახალხურებისა და განვითარების საქმეში აკაკის კვალად ვაჟაც დიდად დაეხმარა ქართულ სალიტერატურო ენას თავის ხალხური მეტყველების ფორმებით, ლექსიკითა და გრძნობათა აზრთა სადად გამოთქმით“** (ამ სიტყვების წარმოთქმით ნათელი ეფინება კანდიდ ჩარკვიანის იმ აბსურდულ გამოთქმებს, რაც თითქოსდა სტალინმა წარმოთქვა ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ მისი სალიტერატურო ენის გამო).

SIC! ახალი პოლემიკის ძველი საფუძველი
№ 106. ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 2020 წელი.

სტალინს რომ სდომოდა, ეს ავტონომიები არც იქნებოდა!

რა როლი მიუძღვის იოსებ სტალინს ცხინვალისა და აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორების საქმეში? რატომ არ იმალლებდა ხმას, როცა ძარცული მიწების გასახმესების პროცესი მიმდინარეობდა და საქართველოს წინააღმდეგ სპრინოუზული ნაღდების იდეა ოდა, ბუნებაში არარსებული ტერიტორიები, მათ შორის, ე.წ. საბჭოთა ოსეთი ჩნდებოდა?

ინ ბერიოფის მოფლენებიდან ბევრი რამ გაფუჭებულია, მაგრამ ობიექტურობისთვის ერგი ითქვას, რომ საქართველოდან ასწავლიდნენ 1921-22 წლებში, როცა ჩვენი მიწ-წყლის გასახესების ხელისდი, ყველაზეაქტიური ლელეს-პარტკომი სტრუქტურენი ნ.ელენბერგ, სტალინი კი თავად ეპრიმოდა საკუთარი ძალაუფლების გაბამარეულად.

რაც შეეხება ე.წ. საბჭოთა ოსეთის ავტონომიას, ის 1922 წელს შეიქმნა, რაც ფაქტია ბოლშევიკეები დიალოგი სისხლის სანაცვლოდ ავტონომიის ითხოვდნენ და არაფერად მიიჩნევდნენ ბალი ხელოვ ქართველების დაკარგვა სამშობლოს.

„სტალინი ნაალებად ეჩვიოდა მაშინდელ ამიერკავკასიაში არსებულ სიტუაციაზე. ის დიაზმენტრენული იყო. საკრძალი ეანიდ დინენერი 1921-22 წლებში, როცა ჩვენი მიწ-წყლის გასახესების ხელისდი, ყველაზეაქტიური ლელეს-პარტკომი სტრუქტურენი ნ.ელენბერგ, სტალინი კი თავად ეპრიმოდა საკუთარი ძალაუფლების გაბამარეულად.

„ბოლშევიკეებმა ბრძოლა ბრძოლაზე, ლტბილეები ბოლშევიკეებმა ბალეში ლტბილეებ ლტბილეებ. სტალინი ფიერმობდა, რომ საკრძალეული არაკანონიერებაე მის მამიებს, ბოლ შეიეერენ პარტიაში დიდაკვლაბა პოზიციები, დაკავნენდა. რაც შეეხება საკრძალეული ეგბო-ნომიების შეკვრას, სტალინი ამბობ ბა ნაგარიდ ოდგ. ტროცკეი ბოლ ბოლ ეკონომიკურ ფრონტზე ეკონომიკურ ფრონტზეა“.

ეს სიმაგალი, რომ ტროცკეის სულეკ არ ადარდებდა, საკრძალეულ ხელ არ ინტერესებდა ინარსებენ ოთ არა ე.წ. საბჭოთა ოსეთი. სხვათა შორის, ინრკინიკიძემ შეასრულება ტროცკეის ეს მოთხოვნა, სტალინი ამბა არ შეეწინააღმდეგებოდა, რაგდან ეს ოფი მაშინდელ ბოლ შეკეკეეი ბარბაბ ბალეში ეკონომიკურ ფრონტზეა“. ეს ბარბაბ ინრკინიკიძე მეგი გაკვლენა ჰქონდა საკრძალეულ ხეკ, ვიდრე სტალინს. მაგრა ინრკინკიძეს შეეფალ და სხეეში სწორედ ინრკინკიძის დედგეეეების ნეკრე“ ენ ინეეენ, ინრკინინკიძე კი ტროცკეის მიერ ოფი დამაეეეეი ტროცკეი და ინრკინკიძე ეფე ერო ბალეის ოფენენ ერთმანეთთან, ვიდრე ინრკინინკიძე და სტალინი.

ეფენ ეკონომიებ ინრკინკიძეს სხეეეეი ინ ინრკინკიძეს ეფ ეფეეეე

ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური და ცემენტის ქარხნები რუსთავში, ელმავალმშენებელი ქარხანა თბილისში, საავტომობილო ქარხანა ქუთაისში, ბამბეულის მძლავრი კომბინატი და ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა გორში, გამამდიდრებელი ფაბრიკები ჭიათურასა და ტყიბულში; ქვანახშირის, მარგანეცის, ტყვია-თუთიისა და ბარიტის ახალი შახტები და მაღაროები ტყიბულში, ტყვარჩელში, გელათში, ახალციხეში, ჭიათურაში, ქვაისაში, ირში და სხვ. ქარხანა „ელექტროავტომატი“, „ელექტროგამშვები“, მიკროძრავა და გაზაპარატი, ჰიდრომეტეოროლოგიუყრი ხელსაწყოების, ლითონის სახეხი დაზგების, ტექნიკური ქვის ქარხნები თბილისში, გემთსამშენებლო, ჩაის მრეწველობის, მანქანათსამშენებლო და ელექტრომექანიკური ქარხნები ბათუმში, მიწასაწოვი მანქანებისა და ექსკავატორების ქარხანა ფოთში, ქარხანა „ემალპროვოდი“ და ელექტრო-ვიბრო მანქანების ქარხანა სტალინირში, საშახტო მოწყობილობისა და ელექტრო მექანიკური ქარხნები ქუთაისში, კაბელის ქარხანა ზესტაფონში, ხრამი I, სოხუმის, ჭითახევის, ტყიბულის, შაორის, გუმათის, ლაჯანურის მძლავრი ჰიდრო-ელექტრო სადგურები, ჩაის ფაბრიკები, ღვინის, საკონსერვო, ეთეროვანი ზეთების, ტუმბოს ზეთსახდელის, ყველისა და რძის ქარხნები და სხვ.

რესპუბლიკა აწარმოებდა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, კოქსს, მაგისტრალურ ელმავლებს, ურთულეს ლითონმჭრელ ჩარხებს, ექსკავატორებს, ავტომანქანებს, ტრაქტორებს, მინერალურ სასუქებს, მრავალგვარ ხელსაწყოებს და სხვ.

თუჯის წარმოების მხრივ საქართველომ გაუსწრო მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე თუჯისა და ფოლადის წარმოების მიხედვით — იტალიას, იაპონიას, ინდოეთს და თუქრქეთს ერთად აღებულს. ქართული თუჯი და ფოლადი ცნობილი გახდა არამარტო სსრკ-ში და დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ აზიისა და ევროპის მრავალ ქვეყანაში.

საქართველოს მიერ საზღვარგარეთ გატანილი საქონლის ვრცელ სიაში იყო: ურთულესი მანქანები, უნივერსალური ჩარხები, ლითონი, მილები, ფეროშენადნობი, მეტეოროლოგიური ხელსაწყოები, მარმარილო, ცემენტი, ანდეზიტი, სამედიცინო პრეპარატები, ღვინო, კონიაკი, ჩაი, კონსერვები, მაკარონი, მურაბები, მინერალური წყლები და სხვ.

რესპუბლიკის ტერიტორია დაისერა სარწყავი არხების ფართო ქსელით. აშენდა: კულაშ-ღანირის, რაში-მისაქციელის, რიონი-მაშველის, წინკლის, დოეს-გრაკლის, თეზი-ოკამის, აჯამეთის, ტირიფონის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის, სამგორის სარწყავი არხები და სხვ.

გაყვანილი იქნა ნატანებ-მახარაძის, ცხაკაია-სოხუმ-ადლერის, გორი-სტალინირისა და ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის ხაზები; დაიგო ფართოლიანდაგიანი ხაზი ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე. ზესტაფონი-ხაშურის ხაზის ელექტროფიკაციით, 1932 წელს, დაიწყო მთელ სსრკ-ში რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიკაცია. 1953 წელს, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 666 ათასზე მეტი კაცი, აქედან 30 ათასზე მეტი მუშა და სოფლის ახალგაზრდობა საღამოს სკოლებში. გაფართოვდა სკოლა-ინტერნატების ქსელი. 1953 წელს სკოლა-ინერნატებში იყო 6 ათასზე მეტი ბავშვი.

რესპუბლიკაში მოქმედებდა 20-ზე მეტი სახალხო თეატრი, 2 100 ზე მეტი თვითმოქმედი კოლექტივი, რომელიც აერთიანებდა 46 ათასამდე კაცს. ქართული ხელოვნების 64 წარმომადგენელს მიენიჭა სტალინური პრემია. ქართული ხელოვნების 16 მუშაკი ატარებდა სსრკ-ს სახალხო არტისტის საპატიო წოდებას. სახალხო მეურნეობის დარგში დასაქმებული იყო 863 ათასი კაცი. 1950-იან წლებში აშენდა 1მლნ. 943 ათასი კვ.მ. საცხოვრებელი ბინები. 1954 წლის დასაწყისში რესპუბლიკას ჰქონდა 641 საავადმყოფო 26 ათას 261 საწოლით. საქართველოს კურორტებზე მოქმედებდა 87 სანატორიუმი, 36 დასასვენებელი სახლი და 13 პანსიონატი.

დასასრულს, გალაკტიონს მოვიშველიებ და დაგემშვიდობები:

„რა არის მასზე უფრო მავნებელი,
როცა ტეტია
მშვენიერების
შემფასებელი
და ესთეტია“
(ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ)



ბატონო ისტორიკოსო, გრცხვენოდეს.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ

ᲰᲝᲚᲝᲙᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ „ისრაელის სახლისა“ და ონის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ონში, კულტურის სახლის ეზოში გაიხსნა იერუსალიმის მსოფლიო ცენტრის მიერ მართალად აღიარებული სერგი მეტრეველისა და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მონუმენტი.

1942 წელს ნაცისტების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ კისლოვოდსკის დაკავებისას, სერგი მეტრეველმა, რომელიც კისლოვოდსკის ღვინის ქარხანაში მუშაობდა, რამდენიმე ებრაელი ქალაქს განარიდა და ფეხით რაჭაში, მშობლიურ უწერაში ჩაიყვანა. კისლოვოდსკში დარჩენილი ებრაელები ნაცისტებმა დახვრიტეს.

ღონისძიება ებრაული კულტურის ევროპული დღეების ფარგლებში ჩატარდა და მას მხარს უჭერს ევროსაბჭოსთან არსებული ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვის ასოციაცია **AEPJ**. მონუმენტის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს ოფიციალური უწყებების წარმომადგენლები და ისრაელელი სტუმრები. მონუმენტის გახსნის შემდეგ ღონისძიების მონაწილეებმა გადაინაცვლეს ონის სინაგოგაში, რომელსაც წელს 125 წელი შეუსრულდა. ის საქართველოში სიდიდით მესამე სინაგოგაა და ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლადაა აღიარებული. დღის ბოლოს ონის კულტურის სახლში, ებრაული კულტურის ევროპული დღეების ფარგლებში, გაიხსნა „ისრაელის სახლის“ მიერ საქართველოში ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტოგამოფენა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲝᲪᲔᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიაში მეექვსე როტაციას განახორციელებენ.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ეროვნული გვარდიის ნაკრები ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ალექსეევკის სამხედრო აეროდრომიდან ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელმა პირებმა და საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის თავდაცვის ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა დანი პიტმა გააცილეს და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა კობა ახვლედიანმა ფრანგულ მხარეს მხარდაჭერისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ქართველი მშვიდობისმყოფელები კაპიტან ნიკოლოზ ასანაშვილის მეთაურობით ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიში, ბაზა „უკატექსზე“ შეასრულებენ. მათი მთავარი ამოცანა ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოტორიზებული პატრულის კონვოირება და გაცილება იქნება.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ - „ᲝᲡᲙᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ **კინოაკადემიის 2021 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის ეროვნული კინოცენტრი საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევას იწყებს. როგორც კინოცენტრში განმარტავენ, საპროდიუსერო კომპანიების განაცხადებს 30 სექტემბრის 17 საათამდე მიიღებენ.**

წარდგენილი ფილმებიდან საქართველოს კანდიდატ ფილმს სპეციალური კომისია ფარული კენჭისყრით გამოავლენს. კინოცენტრში აცხადებენ, რომ კომისიის წევრებისთვის კვალიფიციური ფილმების ჩვენება ოქტომბრის დასაწყისში იგეგმება, კანდიდატი ფილმის სახელი კი 10 ოქტომბრამდე გახდება ცნობილი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ:

2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე 7 დღის განმავლობაში უწყვეტად უნდა იყოს ნაჩვენები საქართველოს რომელიმე კინოთეატრში ან კომერციულ ონლაინ პლატფორმაზე;

უნდა ჰქონდეს კინოინდუსტრიაში მიღებული ფორმის რეკლამა (აფიშა, თრეილერი);

შემოქმედებით ჯგუფს მეტწილად უნდა შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები ან რეზიდენტები;

როგორც კინოცენტრში აცხადებენ, იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ჯერ არ აკმაყოფილებს კინოთეატრში 7-დღიანი უწყვეტი კომერციული ჩვენების მოთხოვნას, აუცილებელია განმცხადებელმა დაადასტუროს, რომ 2020 წლის 31 დეკემბრამდე ფილმი 7 დღის განმავლობაში უწყვეტად იქნება ნაჩვენები კომერციულ ეკრანზე.



იმ შემთხვევაში, თუ ფილმის პრემიერა იგეგმებოდა საქართველოს რომელიმე კინოთეატრში 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 15 სექტემბრამდე, მაგრამ ის არ შედგა მსოფლიო პანდემიით გამოწვეული პრობლემის (კინოთეატრების დახურვის) გამო, შესაძლებელია ფილმის მინიმუმ 7-დღიანი უწყვეტი დისტრიბუცია განხორციელებული იყოს ან 15 სექტემბრამდე განხორციელდეს რომელიმე კომერციულ ონლაინ პლატფორმაზე. ასეთ შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა. ონლაინდისტრიბუცია არ განიხილება 15 სექტემბრის — საქართველოში კინოთეატრების გახსნის — შემდეგ.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ **გახსნაზე წითელ ხალიჩასთან ფანები ვერ შეიკრიბნენ. ფესტივალზე სავალდებულო იქნება დისტანციის დაცვა, ტემპერატურის შემოწმება და დეზინფექცია.**

პირბადეების ტარება სავალდებულო გახდება ღია სივრცეში გამართულ ღონისძიებებზე და პრესკონფერენციებზეც.

კინოდარბაზებს მაყურებელი მხოლოდ ნახევრად შეავსებს. დეზინფექცია რეგულარულად ჩატარდება საჯარო სივრცეში. ვენეციის 77-ეკინოფესტივალი 12 სექტემბერს დასრულდება.

თორნიკე, სალომე, გუბაზი და სხვები

არის თუ არა ქართველი კალათბურთელის მოსკოვის ცსკა-ში გადასვლა სამშობლოს ღალატი?

სპორტული ცხოვრება ასეთია: დღეს აქ ხარ, ხვალ — იქ. ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი ბედი მოღვაწეობის ამ სფეროს დაუკავშირეს, პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ხშირად უწევთ ადგილმდებარეობის შეცვლა.

ადგილს სპორტსმენები იმდენად ხშირად იცვლიან, რამდენადაც მაღალია მათი პროფესიული მიღწევები. სრულიად ბუნებრივია, რომ გამოჩენილ ოსტატებზე მოთხოვნა მაღალია, განსაკუთრებით ჩვენს დროში. თუ ადრე ისეთი დიდოსტატები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ფეხბურთელი ავთანდილ ღოღობერიძე, ხელბურთელი ჯემალ ცერცვაძე, კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე, თავიანთ სპორტულ კარიერას იწყებდნენ და ამთავრებდნენ ერთსა და იმავე კლუბში, დღეს სხვა ვითარებაა. სპორტსმენებს შესაძლებლობები დიდი აქვთ, არჩევანი — ფართო.

ჩემპიონს, რეკორდსმენს, ვარსკვლავს გაშლილი ხელებით ელიან ნებისმიერ პრესტიჟულ კლუბში — ხიბლავენ პრივილეგიებით: წოდებებით, ტიტულებით, ფულით... სპორტსმენებსა და კლუბებს შორის შეთანხმებებში არის სხვა მნიშვნელოვანი მუხლებიც. მაგალითად, კონტრაქტში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტნის თორნიკე შენგელიას მოსკოვის ცსკა-ში გადასვლის შესახებ, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, არის მუხლი, რომლის თანახმადაც, რუსული კლუბი ვალდებულებას იღებს ქართველი კალათბურთელი გამოუშვას ეროვნული გუნდის ყველა ოფიციალურ მატჩზე. სამწუხაროდ, მსგავსი მუხლი არ იყო შენგელიას წინა კონტრაქტში ესპანურ კლუბ „ბასკონიასთან“, რის გამოც მას არ შეეძლო მონაწილეობის მიღება საქართველოს ნაკრების ზოგიერთ ოფიციალურ შერკინებაში, თუმცა კი თვითონ მან ბევრი გააკეთა ბასკთა ქვეყნის კლუბისთვის.

გაგახსენებთ: საკალათბურთო კლუბი, რომლის კაპიტანიც იყო თორნიკე შენგელია, ამ ცოტა ხნის წინათ ესპანეთის ჩემპიონი გახდა, — ფინალში სძლია „ბარსელონას“ (69:67). თორნიკესთვის ეს პირველი ჩემპიონის ტიტული იყო ამ გუნდის შემადგენლობაში.

შენგელიას ცსკა-ში გადასვლას კიდევ ერთი არსებითი მოტივი აქვს: თორნიკე 28 წლისაა. მისი სპორტული კარიერა, როგორც იტყვიან, ზენიტშია, და, ბუნებრივია, სურს ის დაასრულოს გახმაურებული და წარმატებული აკორდით, მაგალითად, პრესტიჟულ ევროპულ ტურნირში გამარჯვებით. ამის გაკეთებას მხოლოდ ძლიერი გუნდის შემადგენლობაში შეძლებდა — ისეთისა, როგორიც ევროლიგის მონაწილე მოსკოვის არმიული კლუბია. თითქოს ყველაფერი ნათელია და თორნიკე შენგელიას ის თანამემამულენი, რომლებიც სიტყვებს „სპორტი პოლიტიკის გარეშე“ აღიქვამენ ცარიელ, მნიშვნელობისგან დაცლილად, ეს მშვენივრად უწყიან, მაგრამ...

შენგელიას რუსულ კლუბში გადასვლა საქართველოს საზოგადოებრიობამ არაერთგვაროვნად მიიღო. ზოგი ლანძღვა-გინებას მოჰყვა, მათთვის კალათბურთელის იმ ქვეყნის არმიის კლუბში გადასვლა, რომელსაც ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ე. წ. სამხრეთ ოსეთი), მიუღებელია. ფეისბუქის სოცქსელის ერთმა მომხმარებელმა დაწერა, ცსკა — ეს პუტინისა და კრემლის იდეოლოგიური პროპაგანდის ერთ-ერთი იარაღიაო. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ცსკა-ში თორნიკე შენგელიას გადასვლას „სინანულისა და აღშფოთების გამომწვევი“ უწოდა.

უცნაური რამ არის: იმას, რომ რუსეთში სამუშაოდ ჩვენი მილიონამდე მოქალაქეა წასული, ქალბატონი სალომე, როგორც ჩანს, ნორმალურ მოვლენად აღიქვამს; ის, რომ ეს ადამიანები თავიანთ ნათესავებს საქართველოში ყოველთვიურად საკმაოდ მსხვილ თანხებს უგზავნიან — ესეც ნორმალურია; სამაგიეროდ, რუსულ კლუბში 28 წლის კალათბურთელის გადასვლა — ცუდია.

თუმცა, ყველაფერი ასე ერთმნიშვნელოვნად როდია. ბევრი მხარს უჭერს სპორტსმენის არჩევანს. **„ნუთუ პრეზიდენტს სხვა საქმე არა აქვს? სპორტი პოლიტიკის გარეშეა და არავის საქმე არ არის, სად ითამაშებს ესა თუ ის სპორტსმენი“,** — სიციალურ ქსელში წერს სარდიონ შაფათავა. **„ლეო ბოკერიაც მოღალატეა?“** — კითხულობს მეორე.

ამრიგად, ცსკა-ს 3-წლიანი კონტრაქტი საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანთან ხელმოწერილია.

„ბედნიერი ვარ შევუერთდე ევროლიგის მოქმედ ჩემპიონს და მოუთმენლად ველი შესაძლებლობას ვითამაშო უბრწყინვალეს კალათბურთელებთან ერთად შესანიშნავი მწვრთნელთა შტაბის ხელმძღვანელობით. დარწმუნებული ვარ, ცსკასთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევ“ — განაცხადა შენგელიამ. მისი სიტყვებით, ახალ კლუბში გადასვლით მისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ იცვლება, რუსეთში მიდის მხოლოდ კალათბურთის სათამაშოდ.

ამაზე შეიძლებოდა წერტილის დასმა, რომ არა კიდევ ერთი პოლიტიკოსის გამოხდომა, რომელმაც თავის თავს ტელეარხ „მთავართან“ ინტერვიუში „უპარტიო“ ან „ჯერ უპარტიო“ ადამიანი უწოდა. პოლიტიკოსის სახელი გუბაზ სანიკიძეა, ხოლო მისი ციტატა ასე ჟღერს: **„მოღალატე შენგელია რუსულ კლუბში გაიქცა, ვიღაცა კი ამტკიცებს, რომ სპორტი პოლიტიკა არ არის!“**

უმალ ვიტყვი: გუბაზ სანიკიძე სულაც არ შედის ურყევთა კატეგორიაში. იგი მიეკუთვნება მოღვაწეთა იმ ნაწილს, რომლებიც, როგორც ადრე იტყოდნენ, ირყევიან, ან ხშირად **„ირყევიან ვითარცა ლერწამი ქარში: დღეს — აქ, ხვალ — იქ. სიტყვაში, ლაპარაკში მაგარია, საქმეში — მთხლე. თვითონ განსაჯეთ. თავისი პოლიტიკური კარიერა უფალმა სანიკიძემ ქართველ ტრადიციონალისტებში დაიწყო, გააგრძელა „ეროვნულ ფორუმში“, 2016 წელს, საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, ნინო ბურჯანაძის პარტიას მიეკედლა, მალე იმასაც დაემშვიდობა და ე. წ. „გამარჯვებული საქართველოს“** — ირაკლი ოქრუაშვილის პარტიაში ამოყო თავი. მალე ისიც დატოვა. ერთი სიტყვით, მოხეტიალე ფორვარდია.

ადრე გუბაზ სანიკიძე „ცოფებს ყრიდა“ მიხეილ სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის გამო. ალბათ, ამიტომ შეიტკბო იგი 2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა და კოალიცია „ქართული ოცნება — დემოკრატიულ საქართველოში“ მიიწვია, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე მოხდა შეუთავსებლობა. როგორც კი დეპუტატობა იგდო ხელთ, გუბაზმა ვიღაცასთან სატელეფონო საუბარში წაიტრაბახა, თითქოს ივანიშვილთან კავშირში იმ მიზნით იყო, რომ გამოიმუშაოს მილიონი. ვიღაცამ საუბარი ჩაიწერა, შემდეგ ვიღაცამ გაახმოვანა. გუბაზ სანიკიძე დარწმუნებულია, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის ჩაწოდებით გაკეთდა, რომელმაც სამაგიერო გადაუხადა ბრიყვული ლაყბობისთვის. ის დღე იყო და ის დღე, მოხსნა გუბაზმა პირი გუდას და ყველა გზაჯვარედინზე ივანიშვილის ლანძღვით ვერ ძღება. ამ ნიადაგზე მოხდა მისი მიხეილ სააკაშვილთან შერიგება, იმ დონეზე, რომ რამდენიმე ხნის წინათ კიევშიც კი ეწვია ექს-პრეზიდენტს. ახლა გუბაზ სანიკიძე ტელეარხებში ხეტიალისას ამტკიცებს, რომ სწორედ ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნებაა საქართველოს ხსნა, ახლა უკვე ბიძინა ივანიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმისგანო. ამ აქტიურობის ჯილდოდ, როგორც ჩანს, მოსალოდნელია „უპარტიო ადამიანის“ ჩართვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიაში მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. როგორც დაუვიწყარი ფრუნზიკ მკრტიჩიანი იტყოდა: „მე ასე ვფიქრობ“.

დღეისთვის უტყუარად ის არის ცნობილი, რომ თორნიკე შენგელია მოსკოვის ცსკა-ს შემადგენლობაში უკვე ჩარიცხულია, გუბაზ სანიკიძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიაში კი — ჯერ არა.

რა იქნება მომავალში — ერთმა ღმერთმა უწყის.

ვალიმ ანასტასიადი

◎ ოკეანის გაღმა

უშანსოდ წააგო

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ამერიკის ღია პირველობაზე გამოსვლა სტარტზევე დაასრულა. იგი მსოფლიოს 30-ე ჩოგანს, ავსტრალიელ ჯონ მილმანს შეხვდა და სამსეტიან დაპირისპირებაში უშანსოდ — 1:6, 4:6, 4:6 დამარცხდა.

შეხვედრა ზუსტად 2 საათი გაგრძელდა და უპირატესობას ყველა კომპონენტში ქართველის მეტოქე ფლობდა. პირველ პარტიაში მილმანი განსაკუთრებით კარგად თამაშობდა, რომელმაც ზედიზედ ორი ბრეიკი შეასრულა, 5:0 დაწინაურდა და სეტი 30 წუთში მოიგო.

გაცილებით დაძაბული გამოდგა მეორე და მესამე პარტიები, თუმცა, საბოლოოდ გამარჯვება მაინც ავსტრალიელს დარჩა და მეორე წრეში გავიდა, სადაც ამერიკელ ფრენსის ტიაფოს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდგომ ეს ბასილაშვილისთვის მეორე ტურნირი გახლდათ, თუმცა, როგორც ცინცინატის, ასევე ამერიკის ღია პირველობას პირველივე წრეში გამოეთიშა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ერთი ტურნირის ორი გამარჯვებული

დამთავრდა ფიდეს მიერ ორგანიზებული ონლაინ-ოლიმპიადა, რომელშიც163 ქვეყნის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. რამდენიმესაფეხურიანი შეჯიბრების შემდეგ საქართველოს ნაკრები (ძირითადი მოთამაშეები — ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია, ნანა ძაგნიძე, მერი არაბიძე, ნიკოლოზ პეტრიაშვილი, დიანა ლომაია, სათადარიგოები — ლუკა პაიჭაძე, გიგა ყუფარაძე, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ნიკოლოზ კაჭარავა, ლილე ქორიძე, კაპიტანი დიდოსტატი ვალერიან გაფრინდაშვილი), რომელიც უმაღლესი დივიზიონის A ჯგუფში მე-6 ადგილით დაკმაყოფილდა, დასკვნითი რაუნდის 12 საუკეთესოში ვერ მოხვდა.

ონლაინ-ოლიმპიადის ნახევარფინალში ინდოელებმა პოლონელებს აჯობეს, ხოლო რუსებმა ამერიკელები დაამარცხეს. გადამწყვეტი შეხვედრის პირველი მატჩი ფრედ (3:3) დასრულდა, ხოლო მეორე რუსებმა 4.5:1.5 მოიგეს. ახალგაზრდების ორ დაფაზე დროის გადაცილების გამო ინდოელებს წაგება ჩაეთვალათ. აზიელებმა ინტერნეტის გლობალური გამორთვის გამო შედეგი გააპროტესტეს, თუმცა, სააპელაციო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო. სამაგიეროდ, ფიდეს პრეზიდენტმა არკადი დვორკოვიჩმა ისარგებლა მინიჭებული უფლებებით და, უპრეცედენტო გარემოებების გათვალისწინებით, ორივე ფინალისტს ონლაინ-ოლიმპიადის გამარჯვებულის ოქროს მედლები გადასცა.

* * *

სასექტემბროდ ფიდემ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. საერთაშორისო კლასიფიკაციაში უმნიშვნელო ცვლილებები აქვთ ქართველ დიდოსტატ მანდილოსნებს, რომელთა რეიტინგზე საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის შედეგებმა მოახდინა ზეგავლენა.

მსოფლიოს ქალთა რეიტინგში პირველ ათეულს უწინდებურად სათავეში უდგას ჩინელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჰოუ იფანი (2658). შემდეგ მოდიან: ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2586), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2582), მსოფლიოს ჩემპიონი ცზიუი ვენძიუნი (ჩინეთი, 2560), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2546), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2544), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2535), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2524), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2515) და თან ჩჟუნი (ჩინეთი, 2510)... 18. ლელა ჯავახიშვილი (2473), 22. ნინო ბაციაშვილი (2467), 24. ბელა ხოტენაშვილი (2463), 32. მერი არაბიძე (2437), 87. სალომე მელია (2371).

ვაჟებში მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2863) ლიდერობს. ათეულში, ასევე, არიან ფაბიანო კარუანა (აშშ, 2835), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2791), იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი, 2784), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2778), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2777), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2773), ვესლი სო (აშშ, 2770), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2765), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2764)... საქართველოს სახელით მოასპარეზე ივან ჩეპარინოვი 2686 პუნქტით 45-ე ადგილზეა.

ლექსო ცინცაძე

გამოსათხოვარი

მეუღლე მანანა ქორიძე, შვილი ოთარ ნადარაია, და მანანა ნადარაია, რძალი ნათია გიგაური, შვილიშვილი ნინო ნადარაია, დისშვილები ირაკლი და რუსუდან ეზუგბაიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ ოთარის ძე ნადარაია

პანაშვიდი 3-4 IX, ხილიანის 14, წმინდა ბარბარეს ეკლესია. გამოსვენება 5 IX, 15 საათზე თბილისის ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიიდან.

გამორჩეული მამულიშვილი

ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას



მოულოდნელად გამოგვაკლდა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მეცნიერი **ნუგზარ ოთარის ძე ნადარაია**.

დაიბადა 1945 წლის 26 თებერვალს ფოთში, მამის — ცნობილი პარტიული მოღვაწის ოთარ ნადარაიას და დედის — ექიმ რუსუდან გველესიანის ოჯახში.

დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, რის შემდეგაც მუშაობდა სხვადასხვა სამინისტროში სამმართველოს უფროსად და საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად. 1975 წელს აირჩიეს ხობის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც 12 წელი იმუშავა, პარალელურად დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ამის შემდეგ იყო აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ხობიდან, ფოთის მერი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელოს რეგიონში, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე და ა. შ.

ნუგზარ ნადარაია ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში ემსახურა თავის სამშობლოს და ყველგან პრინციპული, უანგარო ხელმძღვანელის ნათელი კვალი დატოვა. უკანასკნელ წლებში გახლდათ ერთ-ერთი დამფუძნებელი და უცვლელი პრეზიდენტი ფაზისის სამეცნიერო აკადემიისა, დამაარსებელი ცოტნე დადიანის სახელობის ეროვნული მოძრაობის და გამომცემელი საყურადღებო სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალის „ცოტნეიდელისა“. ამავე დროს გახლდათ საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებრივი საკრებულოს წევრი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი ხობის სახალხო თეატრის დაარსებასა და მუხლჩაუხრელი რუდუნება გიორგი ჭყონდიდელის და ცოტნე დადიანის წმინდანებად შერაცხვაში.

ნუგზარ ნადარაია არჩეული იყო ფოთის, იყალთოს, ხობისა და ჩარგლის საპატიო მოქალაქედ.

ნუგზარ ნადარაიას ნიადაგ თან სდევდა ეროვნული მოქალაქის ნათელი კვალი. მარტო იმის დასახელება რად ღირს, რომ ფოთში მის მიერ აღდგენილ სამეგრელოს ისტორიულ მოედანზე 1996 წელს დაიდგა საქართველოს ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლი!

იგი გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოების, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის და საქართველოს სპორტსმენთა ლიგის წევრი.

დარწმუნებული ვართ, ქვეყანას არასოდეს დაავიწყდება მისი გადარჩენისთვის ნიადაგ მზრუნველი, ყველა საზოგადო ასპარეზზე ფუტკარივით მოფუსფუსე უანგარო, ღვაწლმოსილი, საოცრად კოლორიტული პიროვნება ნუგზარ ნადარაია.

ნათელი დაადგეს მის სულს...

რევაზ მიშველაძე, ოთარ კვესიტაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მგელაძე, როლანდ გვარამაძე, სოსო სიგუა, მაყვალა გონაშვილი, სპარტაკ ქოგულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, იგორ კვესელავა, ოთარ ჭითანავა, თემურ ქორიძე, ჯამლეტ ხუხაშვილი, თენგიზ უთმელიძე, ლიანა წურწუმია, რეზო ადამია, მამუკა ვაშაკიძე.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ღვაწლმოსილ მეან-გინეკოლოგს, მედიცინის დოქტორს, პროფესორ მანანა ქორიძეს გარდაეცვალა მეუღლე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ნუგზარ ნადარაია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფაზისის საზოგადოებრივი აკადემიის პრეზიდენტი, ათეული წლების განმავლობაში ქ. ფოთისა და ქვეყნის დასავლეთი მხარის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი

ნუგზარ ნადარაია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმს.

საზოგადოების სახელით — სპარტაკ გოგინავა, ბაკურ გულუა, პეტრე ბერაია, ჯემალ კახიანი, ჯიმი ძვარცხავა, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, გულთაზ ლაბარტყავა, იური ალანია, ჯემალ კვირტია, ბესლან ქორძია, გია სვანიძე, თენგიზ უჩანეიშვილი, სოზარ შელია, ლია წურწუმია.

დიმა ჯაიანის უკვდავსაყოფად



სენაკის მუნიციპალიტეტში მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ისტორიულ შენობას, ცნობილი ქართველი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შერვაშიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, უკრაინის სახელმწიფო ორდენის კავალერის, სენაკის საპატიო მოქალაქის დიმიტრი ჯაიანის სახელი მიენიჭა.

ასევე, შენობაში განთავსდა დიმიტრი ჯაიანის მემორიალური დაფა, რომელიც ხელოვანის ვაჟმა და შვილიშვილმა — ჯაბა და გიორგი ჯაიანებმა გახსნეს. ღონისძიების ფარგლებში, დიმიტრი ჯაიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა.

გრანტი ჰავის მწვანე ფონდიდან

კლიმატის მწვანე ფონდმა საქართველოს 33 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოუყო, რაც ქვეყანაში ტყის სექტორის რეფორმის მხარდაჭერას და სათბური აირების ემისიის შემცირებას მოხმარდება. პროექტი კახეთის, გურიის და თიანეთის შვიდ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობების და მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებს. კლიმატის მწვანე ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის წარდგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გახსნა.

ღონისძიებას ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად, საქართველოში გერმანიისა და შვეიცარიის ელჩებიც ესწრებოდნენ.

შვიდწლიანი პროექტი 2021 წლის მარტში დაიწყება და 2027 წლის დეკემბერში დასრულდება.

„ამ პროექტს ყვარლის, თელავის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და თიანეთის მუნიციპალიტეტებში განვახორციელებთ. იქნება ბიზნესის ხელშეწყობის პროექტებიც, რომელიც გულისხმობს ალტერნატიული ბიომასისგან დამზადებული საწვავის წარმოებას. ეს იქნება პატარა გადამმუშავებელი საწარმოები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ალტერნატიული საწვავის გაჩენას, რაც მოსახლეობისთვის საწვავზე წვდომას გაამარტივებს. ასევე, სატყეო სააგენტოს შესაძლებლობები გაძლიერდება. ისინი მეტად და ეფექტურად შეძლებენ მერქნული რესურსის დამზადებას და შესაბამისად, კომფორტულ პირობებში მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობა გაიზრდება. მოსახლეობას ერთ სივრცეში შეუძლია მიიღოს ის რესურსები, რასაც ტყე გვაძლევს. ეს ყველაფერი ტყის ეკოსისტემის გაუმჯობესებაზე იმოქმედებს. მთავარი ჩვენთვის არის ის, რომ დეგრადირებული ტყეები აღვადგინოთ. ტყეში ეკოლოგიური კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესდეს და ჩვენი ტყე უფრო ჯანსაღი იყოს, რაც პირდაპირ მოქმედებს კლიმატზე. მომავალი თაობებისთვის ტყის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

გურიაში აზიურ ფაროსანას ებრძვიან

სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრი გურიის რეგიონში შეწამვლით ღონისძიებებს ატარებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 12 ადმინისტრაციულ ერთეულში (ქვენობანი, ზომლეთი, ამაღლება, შუაამაღლება, გოგოლესუბანი, გორაბერეჟოული, გუთური, ხევი, შუასურები, დიდივანი, ერკეთი, ბუკისციხე) თერმული ნისლის ტექნოლოგიით 2 520 ჰექტარი ფართობი დამუშავდა.

თერმული ნისლის ტექნოლოგიის გამოყენებით ღონისძიებები კიდევ დაგეგმილია ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების 7-7 ადმინისტრაციულ ერთეულში.

წამლობა ღამის საათებში, უსაფრთხოების წესების სრული დაცვითა და მეფუტკრე-ფერმერებთან შეთანხმებით ხორციელდება.

სააქციო საზოგადოება „ვარძია“-ს (ს/კ 204379813) აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ, რომელიც შედგება 2020 წლის 25 სექტემბერს 15.00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0177, ალ.ყაზბეგის გამზირი №42-42ა, შენობა №2, მე-5 სართული.

დღის წესრიგი:

1. გენერალური დირექტორის ანგარიში.
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.
3. სხვადასხვა საკითხები.

პატივისცემით
სს „ვარძია“-ს გენერალური დირექტორი
თამაზ გაფრინდაშვილი

გიხარიოდეთ!

მილოცვა, თქმული საქართველოს „მფარველი“ ამერიკის პრეზიდენტის არჩევამდე ორი თვით ადრე

აჩნია ვიეტნამს და ქვეყნის ჭაობებს,*
რა კვალი დატოვა,
რომ ახსოვთ თაობებს, **
პრეზიდენტობის მსურველი ვიეთის ცრუ დემოკრატობა!



მას,
— სისხლში ხელდასვრილს,
მართლის თუ მტყუანის
მოკვლას თუ წამებას,
სახალხო უარით
ნოემბრის სამ რიცხვში მოკითხავს სამება!***

რაკიღა დაგვპირდა, მოველით ტრამპისგან
რომ ის ჯონ ბაიდენს
და მის ცრუ რაინდებს
გაინაპირებს და ფეხქვეშ გაიგებს.

უკვე ჩანს, სასტიკად მარცხდება სვასტიკა,
ნამგალიც, ოროცა
და რაკი ბედნიერ სამშაბათს შორდება მური ცას,
ვულოცავ მსოფლიოს და ჩემს ხალხს ვულოცავ!

ალექსანდრე შენგელია
2020.03.09

** ჯონ ბაიდენის თვითმფრინავი ვიეტნამელმა მეზენიტეებმა ჭაობში ჩაძირეს!*
*** ვიეთი — ვინმე (სულხან-საბა, „სიტყვის კონა“)*
**** ნოემბრის პირველ სამშაბათს, 3 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებია.*

მადურო ტრამპს ბრალს სდებს

ვენესუელის დე ფაქტო პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მის მოსაკლავად სნაიპერების დაქირავებას ცდილობს.

„მე ყველაზე ხისტი აგრესიის მსხვერპლი გავხდი. აშშ-ის ხელისუფლებამ ჩემი დაკავებისთვის ჯილდოდ 15 მილიონი დოლარი დააწესა. დონალდ ტრამპმა ჩემი ლიკვიდაციის გეგმა დაამტკიცა. არ ვაჭარბებ. ახლა ჩემს მოსაკლავად ვენესუელაში სნაიპერების ჯგუფის დაქირავებას ცდილობენ. დონალდ ტრამპმა გადაწყვიტა ასე“, — აღნიშნა ნიკოლას მადურომ.

26 მარტს აშშ-მა ვენესუელის ე.წ. პრეზიდენტს ნიკოლას მადუროსა და ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებს ბრალდება წაუყენა ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის. აშშ-ის ხელისუფლებამ ნიკოლას მადუროს დაკავებისთვის ჯილდოდ 15 მილიონი დოლარი დააწესა.

დაჭრილმა ლოსმა მონადირე მოკლა

აშშ-ში ლოსმა ის მონადირე მოკლა, რომელმაც მშვილდიდან ესროლა.

ინციდენტი ტილამუკის მხარეში მოხდა, სადაც 66 წლის კაცმა, გვიან საღამოს, მშვილდიდან ნასროლი ისრით ლოსი დაჭრა და ნისლის გამო ბოლომდე ვერ სდია.

მეორე დილას, მიწის ნაკვეთის მფლობელთან ერთად, კაცი ლოსის საძებნელად წავიდა. მათ იპოვეს ლოსი. როდესაც მონადირე დაჭრილი ცხოველის მოკვლას ცდილობდა, ლოსმა მას რქებით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. კაცი ადგილზე დაიღუპა.

პოლიციის ინფორმაციით, ლოსი მოკლეს.

გილოცავთ!

შენი სულიერი და ზნეობრივი სიმაღლე გვამშვენებს

იშვიათია, პიროვნებას, რომელსაც საყვარელი პროფესიით თავის ასაკზე ნახევარზე მეტი ერთი და იმავე ადგილზე ემოღვაწოს. ჩვენ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ბედნიერად ვთვლით თავს, რადგან ასეთი უღალატო მეგობარი გვყავს — **მაია იორამაშვილი**. ჩვენი მაია, მუდამ შემართული რომ გაზეთის სტილსა და კორექტურაში ერთი მისხალი შეცდომაც არ გაიპაროს, ამ ურთულეს პროფესიას სამ ათეულ წელზე მეტია, ემსახურება.

ის დღეს იუბილარია, თვალსა და ხელს შუა გაიპარა წლები და უნივერსიტეტდამთავრებული გოგონა, როდესაც პირველად ეწვია გაზეთს, ახლა უკვე 60 წლის შესრულებულა. ჩვენი გაზეთის უხუცეს წევრთან, ქალბატონ თამარ ჩხარტიშვილთან, რომლის ქალიშვილიც ჩვენი მაია გახლავთ, მრავალი რთული და მძიმე წლები გამოგვილია. იყო დალხინებული წლებიც, იყო საშინელი 90-იანები, ავადმოსაგონარი ომები, უშუქობა, გაზეთის გამოსაცემად გათენებული ღამეები, მაგრამ საქმისადმი ერთგულებამ, მეგობრების გვერდით ყოფნამ და სიყვარულმა ეს ყველაფერი გადაატანინა.

ახლა ჩვენი მაია დედის პროფესიას პირნათლად აგრძელებს და ყოველდღე საუკუნემიღწეულ ქალბატონს მართლაც მშობლიურ გაზეთზე გატარებული დღით ესიყვარულება.

მთელი კოლექტივი გილოცავთ ჩვენო მაია საიუბილეო თარიღს, მუდამ ასეთი მხნე, უბერებელი და შემართული გვენახე.

შენი სულიერი და ზნეობრივი სიმაღლე გვილამაზებს ამ წუთისოფელს!

დღესასწაული

ღვთისმშობლის „საქართველოის“ (ივერიის) ხატის დღესასწაული

4 სექტემბერს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საქართველოს (ივერიის) ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღეს...

...გული მადლიერებითა და მოწყალებით გვევსება, როდესაც მარიამ ღვთისმშობლის წმინდა ხატების გამოსახულებებს ვუმზერთ.

საგულისხმოა ისიც, რომ გამოსახულებებში მოჩანს უსაზღვრო სიყვარული ადამიანებისადმი. ქართული სასწაულმოქმედი ხატი არხანგელსკის ეპარქიაში, კრასნოგორის მონასტერში იმყოფება. მის შესახებ არსებობს ცნობა, 1622 წელს, როცა შაჰ-აბასმა საქართველო ააოხრა, სპარსელებმა ჩვენგან მრავალი წმინდა ნივთი გაიტაცეს, მათ შორის იყო ქართული ხატი. იმჟამად სავაჭრო საქმეთა თაობაზე გაგზავნილმა ლიტკინის დამკვეთმა — ლაზარევმა იყიდა ღვთისმშობლის ხატის შესახებ. თურმე ამ დროს ლიტკინს ეუწყა და ებრძანა, რომ ირანში ნაყიდი ხატი შეეწირა არხანგელსკის ეპარქიისათვის.

1698 წელს დათარიღებულ სიგელში ნათქვამია: „ქართული ხატის შემწეობით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უწინ და დღესაც მრავალ სასწაულსა და კურნებას აღუსრულებს ყველას, ვინც მას სარწმუნოებით მიმართავს...

ქართული სასწაულმოქმედი ხატის ზუსტი ასლი მოსკოვის მღვდელმთავარ ალექსი მიტროპოლიტის მონასტერშია დაბრძანებული.

გიული ლიპარტია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 5 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0762; ევრო - 3.6862;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1409;
100 რუბლი - 4.1827; თურქული ლირა - 0.4186;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8108;
1000 სომხური დრამი - 6.3214.

ამინდი 3 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+33
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+20,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+16,	დღე	+34
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge